ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

2 — 3 ნოემბერი, 2013

№260 (6261)

ფასი: 30 თეთრი

ანქვაბის წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მზადდება

გვ.5

ირინა იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად ინიშნება

გვ.5

მის ადგილს პარლამენტში მურთაზ ხურცილავა დაიკავებს

კახა კუკავა: „ნაციონალები ხელისუფლებაში უკვე დაბრუნდნენ“

გვ.3

უსუფაშვილმა თანამშრომლები დატუქსა

გვ.5

გია ცაგარეიშვილი: „იქნებ ქუთაისელებს წყალი უფრო ერჩივნათ, ვიდრე პეტრე ცისკარიშვილის ან ხათუნა გოგორიშვილის დანახვა“

გვ.2

დავით ნარმანია თბილისის მერობაზე არ ფიქრობს

გვ.6

გიორგი თევზაძე: „მსჯავრდებულების ძირითადი მოთხოვნა მათი საქმეების ხელახლა გადასინჯვაა“

გვ.4

ISSN 1987-9385

სალომე ზურაბიშვილი: „საინტერესოა, რას ემსახურება ეს სამართლობანას თამაში?!“

გვ.6

ხათუნა ოჩიაური: „ბოკერიას საქმიანობა წარმატებული იყო“

შორენა გონგლაძე

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ხათუნა ოჩიაური უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას საქმიანობას წარმატებულს უწოდებს. ამის შესახებ განცხადება ოჩიაურმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ოჩიაურის განცხადებით, გიგა ბოკერია იყო და არის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი მათ გუნდში. მისი თქმით, ბოკერიას საქმიანობა წარმატებული იყო ყველა ეტაპზე.

– ბოკერიას საქმიანობა წარმატებული იყო ყველა ეტაპზე, როგორც დეპუტატის რანგში, ასევე უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე. მან შეასრულა მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. რას შეეხება ირინა იმერლიშვილს, მე ამ ადამიანს არ ვიცნობ, ამიტომაც არაფრის თქმა არ შემიძლია მასზე. მხოლოდ წარმატება მინდა ვუსურვო, – აცხადებს ოჩიაური.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ პიარკამპანიისთვის უშიშროების საბჭოდან გამოყოფილ თანხებს, ამაზე ოჩიაური ამბობს, რომ ეს არის „დიდი ტყუილი და სისულელე. რადგანაც თანხები ქვეყნის პიარისთვის იხარჯებოდა და არა „ნაციონალური მოძრაობის“ პიარისთვის.

ოჩიაურმა გუბერნატორების მიერ თანამდებობების დატოვებაზეც გააკეთა კომენტარი, ოჩიაური გაკვირვებულია შექმნილი აურზაურით, ვინაიდან, მისი აზრით, ეს იყო სრულიად ბუნებრივი პროცესი არჩევნების შემდეგ.

– ჩვენ ამ თანამდებობებზე ვიყავით ჩვენი გუნდიდან მისული, ვიყავით მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენლები რეგიონებში და, როდესაც მიხეილ სააკაშვილს ამოეწურა საპრეზიდენტო ვადა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ როგორც მისი გუნდის წევრებს, თანამდებობები დაგვეტოვებინა და ვფიქრობ, რომ ეს არის სრულიად ნორმალური და ბუნებრივი საქციელი. ძალიან გამიკვირდა ის აჟიოტაჟი, რომელიც ჩვენს გადაწყვეტილებას მოჰყვა. ჩვენი ოპონენტების მხრიდან იყო ასეთი შეფასებები, რომ ეს იყო დადგმული სპექტაკლი, მაგრამ სპექტაკლი იქნებოდა მაშინ, რომ ჩვენ თანამდებობების დატოვება გაგვეპროტესტებინა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იყო შემდგომი ნაბიჯი არჩევნების შემდეგ, – განაცხადა იმერლიშვილმა.

თბილისში „ისრაელის სახლი“ იხსნება

2 ნოემბერს თბილისში „ისრაელის სახლი" იხსნება. ღონისძიებას ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზევ ელკინი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. ღონისძიების ორგანიზატორები ამიან საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატა და „აი.ეც.სი".

როგორც „მედიანიუსს“ საორგანიზაციო ჯგუფში განუცხადეს, „ისრაელის სახლი“ – ეს არის ისრაელის მთავრობის მონაწილეობით შექმნილი საპილოტე პროგრამა, რომლის მიზანია ებრაულ დიასპორებთან უფრო ეფექტიანი მუშაობა და მეგობარ ქვეყნებთან ურთიერთობის უფრო მაღალ საფეხურზე გადაყვანა.

საპილოტე პროგრამის ფარგლებში პირველი ცენტრი სწორედ საქართველოში იხსნება.

საზოგადოებრივი ცენტრის მიზნებია: დიასპორისა და ქართული საზოგადოებისათვის ისრაელის გაცნობა და სოლიდარობა მის მიმართ; დიასპორაში ებრაული ცნობიერების და ეროვნული მუხტის გაღვივება; საქართველო-ისრაელის ურთიერთობის შესახებ თანამედროვე ხედვის ჩამოყალიბება და მოტივაციის შექმნა ამ ურთიერთობის სამომავლო განვითარებისთვის;

აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის „ისრაელის სახლში“ რეგულარულად ჩატარდება სალექციო კურსი ისრაელის და მისი საერთაშორისო როლის შესახებ; მოეწყობა სემინარები სხვადასხვა სფეროში ისრაელის მიღწევების გასაცნობად – კულტურა, ეკონომიკა, ბიზნესი, მედიცინა, ახალი ტექნოლოგიები, პოლიტიკური ცხოვრება და ა.შ. ჩატარდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები – შეხვედრები, გამოფენები, პრეზენტაციები.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ეკონომიკურ და ბიზნესკავშირებს საქართველოსა და ისრაელს შორის; მოეწყობა შეხვედრები და კონფერენციები, სადაც ორი ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენლებს შეექლებათ დაამყარონ უშუალო კავშირი და დაიწყონ პირდაპირი თანამშრომლობა.

„ისრაელის სახლის“ დამფუძნებელთა თქმით, პროექტში ისრაელის მთავრობის აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ „ისრაელის სახლის“ გახსნას დაესწრება ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და ქვეყნის სხვა ოფიციალური პირები, ასევე საქართველოს მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. დაგეგმილია საქმიანი შეხვედრები, „ისრაელის სახლის“ ოფიციალური გახსნა და მსხვილი საინვესტიციო პროექტების, მათ შორის სასტუმრო „რიქსოსის“ დათვალიერება.

გახსნას დაესწრება ასევე ლიდერთა და ფილანტროპთა საერთაშორისო კომიტეტის – „ემ ელ სი“-ს წარმომადგენლობა. ისინი შეისწავლიან საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალს და დაიგეგმება ბიზნეს ფორუმის ჩატარება.

საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტისა და „აი ელ სი“-ის კოორდინატორის კავკასიაში, იციკ მოშეს თქმით, „ისრაელის სახლი“ არის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალი ხედვა, რომელიც გახდება იმპულსის მიმცემი ურთიერთობათა გაღრმავების საქმეში. „ისრაელის სახლი“ გახდება ის ადგილი, სადაც ადამიანები ეზიარებიან ნამდვილ ისრაელს, მოისმენენ იმ წარმატებებისა და პოტენციალის შესახებ, რითაც მან ბოლო ათწლეულებში მსოფლიო გააოცა. ეს იქნება ადგილი, სადაც ებრაული დიასპორისა თუ ზოგადად, ქართული საზოგადოების წარმომადგენლები შეხვდებიან ცნობილ ისრაელელ მოღვაწეებს, მოისმენენ მათ ლექციებს თითქმის ყველა სფეროში. ეს პროექტი უპრეცედენტოა და მომავალ ურთიერთობებში ის ახალი სიტყვა იქნება.

მედიანიუსი

გია ცაგარეიშვილი: „იქნებ ქუთაისელებს წყალი უფრო ერჩივნათ, ვიდრე პეტრე ცისკარიშვილის ან ხათუნა გოგორიშვილის დანახვა“

როგორც უმრავლესობის დეპუტატმა განაცხადა, კონსტიტუციიდან იმ ნორმის ამოღებას, რომელიც პარლამენტის ადგილმდებარეობას განსაზღვრავს, უმცირესობის წევრებიც დაეთანხმებიან.

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო ცვლილებების ორი პროექტის კენჭისყრა 17 ნოემბრის შემდეგ იგეგმება, თუმცა მმართველ გუნდს 100 ხმის ნაცვლად, 113 ხმა დასჭირდება.

„საკითხის მისაღებად უფრო მაღალი კვორუმი დაგვჭირდება, 113 დეპუტატი. ჩვენ კონსულტაციებს უმცირესობასთან გავაგრძელებთ, არ არის გამორიცხული, მათაც მხარი დაუჭირონ ამ გადაწყვეტილებას. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ქუთაისმა მხარი გიორგი მარგველაშვილს დაუჭირა, რითაც ავტომატურად პარლამენტის გადატანასაც მიემხრო. სჯობდა, ყოფილ ხელისუფლებას ქუთაისელებისთვის ეკითხათ, უნდოდათ თუა რა პარლამენტი. ეგებ 24-საათიანი წყალი ან ქუთაისიდან ნაგავსაყრელის გადატანა ერჩივნათ, რომელიც სულ 8 მილიონი დაჯდება. 380 მილიონი აქვთ გადახდილი პარლამენტის მშენებლობაში. გაიარეთ კორპუსებში და იკითხეთ, რატომ დგას უზარმაზარი ავზები მეათე სართულებზე. იქნებ ამ ადამიანებს წყალი უფრო ერჩივნათ, ვიდრე პეტრე ცისკარიშვილის ან ხათუნა გოგორიშვილის დანახვა. ჰკითხეს ეს ქუთაისელებს?“, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

პირველი

ჟენევის მოლაპარაკებებზე 2008 წლის ომის შედეგები განიხილება

ჟენევის მოლაპარაკებები ნოემბრის დასაწყისში, 5-6 ნოემბერსაა დაგეგმილი. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, რუსეთი აღნიშნულ მოლაპარაკებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე ამ განცხადებას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ ჟენევის მოლაპარაკებებზე 2008 წელს რუსეთ– საქართველოს ომის შედეგებზე ისაუბრებენ.

„განიხილება ის საკითხები და პრობლემები, რომელიც 2008 წლის შედეგად წარმოიშვა. ეს არის უსაფრთხოების , ჰუმანიტარული პრობლემები. ვნახოთ, ერთია საუბარი , ერთია პოზიტიური განწყობა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია რეალურად რა შედეგებს მოიტანს ეს რაუნდი და იქნება თუ არა რაიმე ახალი პოზიტიური ელემენტი. ამის წინასწარმეტყველება ნამდვილად არ შეიძლია, მაგრამ ჩვენი დელეგაცია ამისათვის მზად არის“,-განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მედიანიუსი

„საპარლამენტო უმრავლესობამ ოპონენტების მიმართ ხელის გაღებრძის პოლიტიკა დაიწყო“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გია თევდორაძის თქმით, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა, პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებისთვის საჭირო 100 ხმა დააგროვოს“.

„ყველას არ აქვს ერთნაირი ფსიქიკა და სამწუხაროა, რომ შეიძლება, ზოგიერთმა ჩემმა თანამოაზრემ პოლიტიკურ წნეხს ვერ გაუძლოს და მხარი დაუჭიროს საკონსტიტუციო ცვლილებებს. მე, როგორც ქუთაისის ყოფილი მერი, ვფიქრობ, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში უნდა დარჩეს, რადგან პარლამენტის ამ ქალაქში დატოვებით, არამარტო ამ ქალაქის, არამედ მთელი მხარის პრობლემები მოგვარდება“, – განაცხადა გია თევდორაძემ.

პირველი

რიჩარდ ნორლანდი: „საქართველომ პრემიერი თავად უნდა აირჩიოს“

აშშ-ის ელჩის თქმით, მნიშვნელოვანია ქვეყანამ წინსვლა გააგრძელოს.

„ეს არის თემა, რომელიც თავად ქართველების გადასაწყვეტია. მნიშვნელოვანია, რომ გასულ კვირას ჩატარებული არჩევნების შემდეგ ქვეყანას ეყოლება ახალი პრეზიდენტი, ახალი პრემიერ-მინისტრი, ჰყავს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც ერთი წელია, მუშაობს ამ თანამდებობაზე და უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, რომელმაც არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. მნიშვნელოვანია, რომ იმ გამოწვევების დასაძლევად, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას, კონსულტაციები გაიმართოს. ვფიქრობ, საქართველოს დასაკარგი დრო არ აქვს და აუცილებელია, გაგრძელდეს ის მიღწევები, რომლებიც ქვეყანაში წლების განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერების დამსახურებით მიმდინარეობს“, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

პირველი

2014 წლის ბოლომდე 86 ათასზე მეტი ოჯახი გაზიფიცირდება

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ აზერბაიჯანული კომპანიის „სოკარ ჯორჯია გაზის“ წარმომადგენლებთან ერთად, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერა.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზი“ ახალსოფელის მიმართულებით 21,5 კმ სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენს აშენებს. სამუშაოების 70% უკვე შესრულებულია. გაზსადენის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ამასთან, მიმდინარეობს სოფლის სრული დაქსელვა, რაც ამ სოფელში მცხოვრებ 550-მდე პოტენციურ აბონენტს ზამთრის სეზონის დადგომამდე გაზის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს.

საქართველოს მასშტაბით 2014 წლის ბოლომდე 86 ათასზე მეტი ოჯახი გაზიფიცირდება. ამასთან, მოსახლეობა ბუნებრივი აირის სახლში შეყვანას საჭირო თანხის რამდენიმე თვეზე გადანაწილებითაც შეძლებს. მსგავს შემთხვევაში, გადასახადი თვეში 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ნიუსპრესი

მანანა კობახიძე: „ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება“

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, ახალი პრემიერის ვინაობა საზოგადოებისთვის დღეს გახდება ცნობილი.

„დარწმუნებული ვარ, საკმაოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილება იქნება მიღებული. გადაწყვეტილებას დღეს კოალიციის ლიდერები აცნობებენ საზოგადოებას“, – განაცხადა კობახიძემ და დასძინა, რომ „ერთ-ერთ კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი განიხილება“.

შეგახსენებთ, რომ დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო გაიმართება, სადაც ახალი პრემიერის კანდიდატურას განიხილავენ.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კუკავა: „ნაციონალები ხელისუფლებაში უკვე დაბრუნდნენ“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

– პატონო კახა, თქვენ არ შეგიფასებიათ საპრეზიდენტო არჩევნები, როგორ ვარაუდებსაც გამოთქვამდით, სწორედ ისეთი შედეგები დაიდო. რას იტყოდით დღეს ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– იგივე შეფასებები მაქვს, რაც არჩევნებამდე მქონდა, ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ვპროგნოზირებდი, გაიყვეს ელექტორატის ძირითადი რაოდენობა კოაბიტაციის მონაწილე მხარეებმა. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ კიდევ დრო დასჭირდება ქართველ საზოგადოებას, რათა ეს ყველაფერი გააცნობიეროს.

– შედეგი რა იქნება ამ ყველაფრის?

– შედეგი იქნება ის, რომ ცვლილებები არ იქნება, რეფორმები არ იქნება. საქართველოში შენარჩუნებული იქნება ის პოლიტიკური და ფინანსური კორუფციული სისტემა, რომელიც არსებობს. უბრალოდ, ვრცელი კომენტარის გაკეთებას ახლა აზრი არა აქვს ამ თემაზე, იმიტომ, რომ არის ხალხი, რომელსაც ამის დაჯერება არ უნდა.

– ვისაც სჯერა?

– ნოდარ დუმბაძის მემუარებშია, რომ მიცვალებულთან არ უშვებენ, არ მჯერა, არ მჯერაო და, ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო... ეს არის ისეთი დავა, ახლა ხალხი არის, რომლებსაც ფანატიკურად სწამს, რომ კოაბიტაცია დასრულდებოდა 27 ოქტომბერს. როგორ დასრულდა, კი ვნახეთ დღეს ახალაიას პროცესზე. უნდა გავიდეს გარკვეული დრო, ალბათ, 4-5 თვე, რომ საზოგადოება დარწმუნდეს, ის მოლოდინი, რომელსაც ისინი უკავშირებდნენ საპრეზიდენტო არჩევნებს, რეალური არ იყო. მანამდე ჩვენ რაც არ უნდა ვთქვათ, ადამიანების რწმენას არგუმენტებით ვერ გავაბათილებთ.

– თქვენ ახსენეთ კოაბიტაციის დასასრული, თუმცა ვხედავთ, რომ, პირიქით, სხვა ფორმები მიიღო ამ ყველაფერმა...

– ეს ფორმები მიღებული ჰქონდა მანამდეც, უბრალოდ, საზოგადოება თვლიდა, იმის გამო, რომ არასწორად და არასაკმარისადაა ინფორმირებული, ამ ყველაფერში დამნაშავე იყო პრეზიდენტის ინსტიტუტი. მე არაერთხელ მითქვამს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს დღეს საქართველოში არანაირი ბერკეტი არა აქვს, თუ არ ვცდები, მარტო ელჩების დანიშვნაზე აწერს ხელს. აქედან გამომდინარე, იმაზე, რაც პირველი ოქტომბრის შემდეგ ხდება ქვეყანაში, მეტწილად მთავრობა არის პასუხისმგებელი და არა პრეზიდენტი. პრეზიდენტს თავისი ცოდვებიც ეყოფა მთელი 9 წლის მანძილზე, მაგრამ ის, რის გამოც, განსაკუთრებით სამართლიანობის აღდგენის სფეროში, საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამს, ეს მთავრობის, იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და დღევანდელი პარლამენტის პასუხისმგებლობის საგანია.

– თქვენ პარლამენტი ახსენეთ. ამბობენ, რომ პარლამენტში სერიოზული ცვლილებები და გადაჯგუფებები იგეგმება...

– შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ქართული პოლიტიკა მანკიერია, იმიტომ რომ 21 წელია მიმდინარეობს მოქალაქეთა კავშირის შესაკრებებს შორის გადანაცვლება და გინდა ნაციონალური მოძრაობა დაირქვან და გინდა ქართული ოცნება, ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც არ გააჩნია არანაირი ფასეულობები, ამიტომ ისინი ვერ გაატარებენ იმ ტიპის რეფორმას, რასაც ეწოდება ევროპული დემოკრატიული რეფორმები. უბრალოდ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ამჟამად საზოგადოება ეიფორიაშია და ალბათ რამდენიმე თვე დასჭირდება იმას, რომ საზოგადოებამ ეს მთელი სიგრძე-სიგანით კარგად დაინახოს. დებატებს ახლა ისევე არა აქვს აზრი, როგორც არ ჰქონდა 2004-2005 წლებში სააკაშვილის მთავრობასთან. ხალხი მაინც ყოველთვის და ყველაფერში ამართლებდა, ვიდრე 2007 და 2008 წლები არ დადგა. იმედი მაქვს, რომ არ იქნება ისეთი მასშტაბური ტრაგედიები, როგორიც 2007-2008 წლებში მოხდა, იმისთვის, რომ საზოგადოებამ სწორი დასკვნები გააკეთოს.

– თუკი პარალელს ვავლებთ, მაშინ შეცდომებზე არ უნდა ვისწავლოთ?

– ერთ-ერთმა ცნობილმა ბერძენმა მოაზროვნემ თქვა – ისტორია გვასწავლის იმას, რომ ის არაფერს არ გვასწავლისო...

– რაც შეეხება ნაციონალებს, ვნახეთ, რომ მათ შეძლეს რეაბილიტაცია, ასევე საკუთარი პარტიის ლეგიტიმაცია ამ არჩევნების გზით და მეორე ძალად ითვლებიან ქვეყანაში. რას მოიტანს ეს ყველაფერი და რამდენად არის იმის შანსი, რომ მართლაც დაბრუნდნენ ხელისუფლებაში?

– დაბრუნდნენ უკვე. მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებას მართლაც აკლია აკადემიური დებატები. რა უნდა ქართვლ საზოგადოებას, თვითონ უნდა ჩამოყალიბდეს, იმიტომ რომ ხანდახან ეს მიზნები და ამოცანები გაუცნობიერებელია. თუ მთელი საზოგადოების სურვილი გამოიხატება პირად ზიზღში მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რომ მის ფიზიონომიას არ ვუყუროთ ტელეეკრანებზე, ეს მიღწევადი ამოცანაა, მაგრამ მე არა მგონია, რომ საქართველოს მთავარი პრობლემა სააკაშვილის ფიზიონომია იყოს ტელეეკრანზე. პრობლემები ბევრად უფრო ღრმა არის, ბევრად უფრო მასშტაბურია და ფაქტია, რომ დღევანდელი მთავრობა ამის რეფორმირებისათვის მზად არ არის, იმიტომ რომ უკონტროლო პოლიცია და სასამართლო ცუდია, როცა ის შენ წინააღმდეგ მუშაობს, მაგრამ ძალიან კომფორტულია, როცა ის შენს დაქვემდებარებაშია. დღევანდელ მთავრობას არა აქვს სურვილი, რომ ამ სისტემის რეფორმირება მოახდინოს, პირიქით. აქედან გამომდინარე, ალბათ, დროა, საზოგადოების ნაწილმა დაიწყოს დისკუსია იმაზე, რომ ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ, არა პერსონებს, არამედ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს დემოკრატიული გარდაქმნების, რეფორმების პროგრამა და როგორღაც, საერთო ძალისხმევით მივაღწიოთ დემოკრატიული რეფორმის განხორციელებას.

– ამ შემთხვევაში როგორია პარლამენტის გარეთ დარჩენილი ოპოზიციის როლი? ვხედავთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში არ არის არც ძველი და არც ახალი ხელისუფლების პირობებში...

– გასაგებია, თუ რატომაც. ხელისუფლებაში ამჟამად იმყოფება ერთი პოლიტიკური პარტია. ეს არის ლიბერალური პარტია, რომელსაც აქვს ორი ფრაქცია, ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება. მათ ხომ ერთი და იგივე ხედვები აქვთ, ერთი და იგივე შეხედულებები. ევროპაში ამას უწოდებენ ლიბერალურ პარტიას. აქედან გამომდინარე, მათთვის მემარცხენე, ეროვნული, დემოკრატიული პროგრამის მქონე პოლიტიკური პარტიები თანაბრად მიუღებელია. ეს არც არის დასამალი, თქვენც ხედავთ ალბათ, რომ ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა ერთნაირი აგდებულობით თუ იგნორირებით მოიხსენიებენ არასაპარლამენტო ოპოზიციას და ეს ლოგიკურია, ამაში არც საწყენი და არც გასაკვირი არაფერი არ არის.

– რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, როგორ ფიქრობთ, კვლავ დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი?

– ვადამდელი არჩევნები, მე ვფიქრობ, გამოირიცხა, იმიტომ რომ ქართველმა ხალხმა 27 ოქტომბერს არ დაუჭირა მხარი ვადამდელ არჩევნებს. ჩვენ ვიცოდით, რომელი კანდიდატი იყო ვადამდელი არჩევნების მომხრე. ამ შემთხვევაში გიორგი მარგველაშვილი ნამდვილად პატიოსნად მოიქცა და მან არჩევნებამდე განაცხადა, რომ სწორედ ვადამდელ არჩევნებს არ დაუშვებდა. ქართველმა ხალხმა მხარი დაუჭირა მარგველაშვილს. აქედან გამომდინარე, როგორც არ უნდა მომწონდეს ეს პარლამენტი, უბრალოდ, არანაირი არგუმენტი არა მაქვს ახლა, რომ ვთქვა – ვადამდელი არჩევნებისთვის რაიმე საფუძველი არსებობს. ამას მეც ვერ ვიტყვი.

– გამოდის, რომ სამი წელი ლოდინის რეჟიმში უნდა იყოს ის, ვისაც არ მოსწონს ეს პარლამენტი?

– კი, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ხალხმა მხარი დაუჭირა იმ განლაგებას, რომელიც არსებობს პარლამენტში. ზუსტად პროცენტები ევროპაშიც არ ემთხვევა ხოლმე არჩევნებიდან არჩევნებამდე და რეიტინგი. ძირითადი თანმიმდევრობა რაც არის პარლამენტში, იგივე იქნა ნაჩვენები ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე. აქედან გამომდინარე, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა გამორიცხულია.

– თუმცა ძალიან მალე მოდის ადგილობრივი არჩევნები. რა გეგმები გაქვთ არასაპარლამენტო ოპოზიციას?

– ჩვენ გვაქვს ამასთან დაკავშირებით შიდა კონსულტაციები და ალბათ უახლოეს დღეებში უფრო დეტალურ განცხადებასაც გავაკეთებთ და ჩვენს გეგმებს გავაცნობთ საზოგადოებას. მე ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს სწორედ ფასეულობებისა და იდეოლოგიის მიხედვით პოლიტიკური სპექტრის დაჯგუფება და ის, რაზეც მე ვსაუბრობდი, დემოკრატიული და ეროვნული პროგრამის მქონე პარტიებმა უნდა შევძლოთ ერთიანი კოალიციის ფორმირება და ადგილობრივ არჩევნებში ამგვარი ეგიდით მონაწილეობა.

– რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, როგორ ფიქრობთ, გაყალბდა ეს არჩევნები თუ ის სურათი დაიდო, რა შეკვეთაც საზოგადოებას ჰქონდა?

– გააჩნია, ვინ როგორ უყურებს. „გაყალბება“ არ არის იურიდიული ტერმინი. ეს არის საზოგადოებაში დამკვიდრებული ტერმინი, რომელსაც ყველა თავისებურად განმარტავს. თუ გაყალბებაში იგულისხმება ბიულეტენების ჩაყრა საარჩევნო ყუთებში, რა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა, აგრეთვე ადგილი არ ჰქონია ფიზიკურ ძალადობას, თუმცა ადგილი ჰქონდა, ისე,

როგორც 2006 და 2010 წლებში, იმდენად არათანაბარი გარემოს შექმნას საარჩევნო სუბიექტებს შორის, რომ ევროპული სტანდარტების მიხედვით ეს ვერ ჩაითვლება დემოკრატიულ არჩევნებად. საქართველოში 2008 წელს, მაგალითად, ორი არჩევნები ჩატარდა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო. საპრეზიდენტო არჩევნებზე იქნა გამოყენებული კარუსელი, ბიულეტენების ჩაყრა, ოქმების გადასწორება, ფიზიკური ძალადობა და ტერორი და ხალხი ამბობდა, რომ გაყალბდა. საპარლამენტო არჩევნებზე ეს არაფერი გამოყენებული არ ყოფილა და სხვა ტექნოლოგიების მეშვეობით იქნა მიღწეული ის შედეგი, რომელიც მაშინ დადგა. პრაქტიკულად, ერთი და იგივე შედეგი დადგა. ხშირად გვაყვედრიან დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ არავინ უცემიათ, არავინ უწამებიათ. არც 2008 წელს, არც 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე არავის სცემდნენ და არც აწამებდნენ. არ შეიძლება, როცა ჩვენ ვსაუბრობთ გაყალბებულ არჩევნებზე, ეს ყველაფერი დავიყვანო მხოლოდ ცემასა და ძალადობაზე. კი, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო, რომ ძალადობა ყოფილიყო გამორიცხული საარჩევნო პროცესიდან, მაგრამ რეალურად თავისუფალი არჩევნებისთვის ქვეყანას სჭირდება სერიოზული რეფორმის გატარება, რომლისთვისაც მზად ეს მთავრობა არ აღმოჩნდა. თქვენ გახსოვთ ალბათ ე.წ. რვიანის გეგმა, რომელიც 2010 იქნა პრეზენტირებული საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ჩვენ ვითხოვდით მაშინდელი ხელისუფლებიდან დაუყოვნებლივ ამ გეგმის მიღებას. დღეს იმ რვა პარტიიდან ექვსი ხელისუფლებაშია და ფაქტია, რომ რვიანის არც ერთი წინადადება კანონმდებლობაში არ დაინერგა.

– რაც შეეხება მომავალ პრემიერს, დაიღალა საზოგადოება ამდენი მკითხაობით, ქარაგმით. წესით, დღეს ხვალ უნდა გავიგოთ ახალი პრემიერის ვინაობა. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეცვლის პოლიტიკურ გარემოს ახალი პრემიერი, რამდენად შეიცვლება ძალთა ბალანსი?

– წინასწარ ძალიან რთულია რაიმეს თქმა, როდესაც არ ვიცით, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, ძნელია, კომენტარი გავაკეთო. თუმცა, ეს არ გამოიწვევს ქვეყნის კურსის ცვლილებას, ამაზე ორი აზრი არ არის. გასაგებია, რომ ხელისუფლების არაფორმალურ ლიდერად რჩება კვლავინდებურად ბიძინა ივანიშვილი. შეიძლება ეს ვინმესთვის არ არის ტრაგედია, მაგრამ მინდა ვთხოვო ხელისუფლებას, რომ ყურადღება მიაქციოს ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ტიპის პრაქტიკოლსაც, თუ როგორ იქნება ესა თუ ის კანდიდატურა გამოცხადებული ან დამტკიცებული. ეს რაღაცა პატრონალიზმის ელემენტები არის, როცა ერთი ადამიანი ძალიან ღიად ამბობს, რომ ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი, ვინ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი, ვინ უნდა იყოს ქალაქის მერი და ამბობს, რომ მე კი ვიცი, მაგრამ მაინც პარასკევს საღამოს გეტყვით. პარასკევ დილას უმრავლესობას შევხვდები და მერე გამოგიცხადებთ. რბილად რომ ვთქვათ, ეს არ არის სრულ შესაბამისობაში ევროპულ ტრადიციებთან. მესმის, რომ ჩვენი მოსახლეობა ბევრად უფრო სხვა პრობლემებითაა დაკავებული და ამ დეტალებს ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ, ჩვენ თუ გვინდა ევროპული დემოკრატიის დამკვიდრება ქვეყანაში, პრემიერ-მინისტრის შერჩევის ასეთი წესი, რომ ერთი ადამიანი გადაწყვეტს და დანარჩენებს ამის შესახებ დეპეშით გაუგზავნის, რბილად რომ ვთქვათ, არ არის მთლად ევროპულ დემოკრატიასთან შესაბამისობაში მყოფი პროცედურა. ეს თავის შედეგებს აუცილებლად გამოიღებს უახლოეს პერიოდში. ვგულისხმობ იმას, რომ იქნება ლეგიტიმურობის კრიზისები.

–იმის თქმა გინდათ, რომ ერთი კაცი წყვეტს, თუ ვინ უნდა იყოს მომავალი პრემიერი?

– ეს, მგონი, ფაქტია. ამაზე არავინ დავობს. ეს სამომავლოდ აუცილებლად შექმნის პრობლემებს. შეიძლება ეს ყველამ არ იცის, მაგრამ არიან პარლამენტში გამოცდილი პოლიტიკოსებიც და პოლიტოლოგებიც, რომელთაც ესმით ეს, რომ შეიძლება ასეთ მშვიდ ვითარებაში, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება პრეზიდენტი და ვინ – პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ნებისმიერი პოლიტიკური კრიზისის თუ დაძაბულობის დროს აუცილებლად ექნება პრეზიდენტსაც და პრემიერ-მინისტრსაც ის კომპლექსი, რომ ის არავის აურჩევია, არავითარი ლეგიტიმურობა მათ არ გააჩნდათ და ის უბრალოდ ვიღაცამ გადაწყვიტა. ასეთი ტიპის ვალდებულებები მათ უზღუდავს ლეგიტიმაციას და მოქმედების თავისუფლებას. პრინციპში, ამის შესახებ ღიად საუბრობს ახლად არჩეული პრეზიდენტი, რომ ამ ხელისუფლების გადაბარების დროსაც ის გააგრძელებს დღევანდელი პრემიერისაგან რჩევებისა და დირექტივების მიღებას.

– თქვენ თვლით, რომ ივანიშვილი აქტიურად ჩაერევა ქვეყნის მართვაში?

– მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის ის საკითხი, რომელზეც დიდი დავა და დისკუსია მიმდინარეობს ჩვენს საზოგადოებაში. ეს უნდა მივიღოთ, როგორც ფაქტი. თუ რამე შეიცვალა, გამოჩნდება. საზოგადოება ხშირად ღიზიანდება, როცა აკრიტიკებენ ბიძინა ივანიშვილს. მისი მომხრე ძალიან ბევრია ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გამოვიარეთ რამდენიმე ხელისუფლება და ყველა ხელისუფლებას ჰყავდა პირადი მომხრეები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვინც არ უნდ იყოს ხელისუფლებაში, გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი თუ ივანიშვილი, არის რაღაცა განზოგადებული პრობლემები, რომელიც ყველა შემთხვევაში პრობლემაა. რაღაც ახალს ნუ გამოვიგონებთ, თუ როგორია ევროპული დემოკრატია, ეს უკვე ევროპელებმა გამოიგონეს, ააწყვეს და ამის ხელახლა გამოგონება, ჩემი აზრით, საჭირო არ არის. პოლიტიკური მართვის ევროპული დემოკრატია არსებობს და ძალიან მარტივი ამოცანა გვაქვს ქართველებს, რომ ეს ევროპული მართვის მოდელი დავნერგოთ საქართველოში და არ წავიდეთ ახალი ველოსიპედის გამოგონების გზით.

– ყველაზე აქტიურად ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა განიხილება პრემიერ-მინისტრის პოსტზე. თქვენი აზრით, ივანიშვილის შემდეგ რამდენად მისაღები იქნება საზოგადოებისთვის ღარიბაშვილის კანდიდატურა?

– როგორ გითხრათ, პრემიერ-მინისტრის შერჩევა ყოველთვის მმართველი გუნდის ექსკლუზივია. ნამდვილად არ არის დასამალი, რომ ღარიბაშვილი ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია, სხვებთან შედარებით, მეტი სიმპათიით სარგებლობს საზოგადოებაში. მთავარია, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს მმართველი კოალიციის ლიდერი. თუკი ის იქნა განხილული საზოგადოებაში, როგორც ბიძინა ივანიშვილის პირადი კადრი, ეს შეუქმნის აუცილებლად მას პრობლემებს საზოგადოებასთანაც და საკუთარ კოალიციასთანაც.

– როგორც გამოვიდა ხმები, კოალიციის შიგნითაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია...

– რა თქმა უნდა, ჰყავს ბევრი მოწინააღმდეგე, ეს ყველაფერი რეალობაა, მაგრამ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ამ ყველაფერთან დაკავშირებით დღეს მსჯელობას აზრი არა აქვს, იმიტომ რომ საზოგადოებამ მისცა 100%-იანი მანდატი ბიძინა ივანიშვილს და, რაც არ უნდა ვამტკიცოთ და ვიძახოთ, მაინც ისე გადაწყდება ყველაფერი, როგორც ამას მოისურვებს ბიძინა ივანიშვილი. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ეს სისტემა უკვე რეალობაში ამოქმედდება, მერე შევხედავთ, ამან გაამართლა თუ არა. იმედი მაქვს, ნელ-ნელა საზოგადოებს გაუჩნდება კრიტიკული ანალიზის უნარი. დღეს ჩვენს საზოგადოებას კრიტიკული ანალიზის უნარი წართმეული აქვს. ამ შემთხვევაში ვინ იქნება პრემიერი, სერგეენკო თუ ღარიბაშვილი, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

გიორგი თევზაძე: „მსჯავრდებულების ძირითადი მოთხოვნა მათი საქმეების ხელახლა გადასინჯვაა“

გულიკო ბალაძე

ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია რეგისტრირებული იქნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი სადამკვირვებლო სტატუსით.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი თევზაძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციის დამკვირვებელმა ჯგუფებმა ერთობლივად შეაჯამეს ჩატარებული არჩევნები და საარჩევნო გარემო.

— არჩევნები ჩატარდა ძირითადად მშვიდ გარემოში. ზოგიერთ საარჩევნო უბანში ადგილი ჰქონდა გარკვეული სახის ხარვეზებს და პროცედურულ დარღვევებს, მაგრამ საერთო ჯამში, გავლენას ვერ მოახდენდა არჩევნების შედეგებზე. თავისუფალი და მშვიდ გარემოში ჩატარებული არჩევნები მნიშვნელოვანი ტესტი იქნება საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ეს დემოკრატიული არჩევნები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს საქართველოს ევროინტეგრაციას და ნატოში გაწევრიანების პროცესს, — განაცხადა გიორგი თევზაძემ.

გიორგი თევზაძის აზრით, მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა გაგრძელდეს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საარჩევნო პროცესის მართვასა და ზოგადად მთავრობის მუშაობაში, უნდა მოხდეს საარჩევნო პროცედურების კიდევ უფრო დახვეწა საარჩევნო პროცესში ახალი საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. საჭიროა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მუდმივი ტრენინგი; საარჩევნო უბნები უნდა აღიჭურვოს პანდუსებით, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ სრულყოფილი შესაძლებლობა ხმის უბნებში მისაცემად. საარჩევნო გარემო ნაკლებად იქნება დამოკიდებული პერსონებზე.

გიორგი თევზაძემ ისაუბრა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებებზე, რომელიც ზრდის სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებებს. — — „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში იგეგმება ცვლილებების შეტანა, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის როლს და უფლებამოსილებას ოჯახური კონფლიქტისას დაზარალებული პირების სასარგებლოდ. თუმცა, ეს ცვლილება სხვა საფრთხეებს შეიცავს. მოზარდთა უფლებების დაცვის მოტივით სახელმწიფო ორგანოებს და არასამთავრობო სექტორს უფლება მიენიჭებათ, მშობლებს ჩამოართვან მშობლის უფლება. ეს გაუგონარი და დაუშვებელი ინიციატივაა, რომელიც იმაზე მეტ საფრთხეებს შეიცავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ეს ინიციატივა პრინციპულად და რადიკალურად ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ და ეროვნულ ღირებულებებს. ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას, მათ შორის, ძალადობას ოჯახში. მით უმეტეს, თუ ამ ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანია, მაგრამ დაუშვებელია ქვეყანა მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდეს და სახელმწიფომ მხოლოდ არასრულწლოვანის მიერ დაფიქსირებული და უაპელაციოდ გადახვეული პოზიციით იხელმძღვანელოს. დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია ამ ურთიერთობებში იურიდიული ბერკეტები არასამთავრობო ორგანიზაციებს მიენიჭოთ, მიუხედავად იმისა, რომ თავად წარმოვადგენთ არასამთავრობო სექტორს. ეს იქნება ძალადობა ქართულ ოჯახებსა და ქართულ ეროვნულობაზე. ბავშვის დამოკიდებულება გარემო მოვლენებზე თავისებურებებით ხასიათდება. სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გამო, არ დაიშვება არასრულწლოვანისთვის ყველა შემთხვევაში ჩვენებების ჩამორთმევა მშობლისა და ბავშვის პედაგოგის დახმარებისა და თანამონაწილეობის გარეშე. ეს საკანონმდებლო ინიციატივა თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ამ სენსიტიური გარემოებების გამოყენებად და ქართული ტრადიციული ოჯახური ღირებულებების განადგურების მცდელობად. ამ ცვლილებებში იკვეთება დასავლური გავლენა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ არ შეიძლება დასავლური გამოცდილების გამოყენება ხისტად და ქართული ღირებულებების გაუთვალისწინებლად, რის გამოც, შესაძლებელია, საკმაოდ რთული პროცესები მივიღოთ. ამიტომ აღნიშნულის დაშვება კატეგორიულად არ შეიძლება.

გიორგი თევზაძის განცხადებით, საქართველოში მიუსაფარ ბავშვთა პრობლემა კვლავაც დგას და წლების განმავლობაში ვერ გვარდება.

— მიუსაფარ ბავშვთა პრობლემა სახელმწიფოს და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა წარმოადგენდეს. ეს არის საზოგადოების ურთულესი კომპლექსური პრობლემა, რომელიც სხვა პრობლემების წინაპირობებს ქმნის, რადგან უკავშირდება ჩვენი საზოგადოების მომავალ თაობას, რომელიც უნდა იზრდებოდეს ჯანსაღ გარემოში. რატომღაც წლების მანძილზე არ ხდება ბიუჯეტის ფორმირება ისე, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებულ მიზნობრივ პროგრამებს. ეს უნდა იყოს ყველა ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. როგორც ჩემთვის ცნობილია, არც მომდევნო წლის ბიუჯეტში არ არის ასახული სახსრები მსგავსი პროგრამებისათვის. კარგია, როდესაც იგეგმება ხარჯების გაწევა მთელი რიგი კულტურული, სოციალური და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებებისათვის, მაგრამ აუცილებელია წლის ბიუჯეტის მომზადებისას სავალდებულო წესით იქნას გათვალისწინებული სახსრები მიუსაფარ ბავშვთათვის საჭირო მიზნობრივი პროგრამებისათვის. ეს უნდა იყოს სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. ასევე გასათვალისწინებელია უფრო მეტი მიზნობრივი პროგრამები სოციალურად დაუცველი თანამოქალაქეებისათვის და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ვფიქრობ, ქვეყანას ესაჭიროება უფრო სამართლიანი და დაბალანსებული სოციალური პოლიტიკა, ვიდრე დღეს არსებულია, უფრო მეტად ჰაერზე აგებული და დეკლარირებული პოლიტიკა, როგორც ეს წლების მანძილზე ხდებოდა.

გიორგი თევზაძემ პენიტენციურ სისტემაში

პატიმართა უფლებრივ მდგომარეობაზეც ისაუბრა.

— როგორც უფლებადამცველს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს, მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. სისტემა საკმაოდ დადებითადაა განწყობილი ჩვენი და ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რაც აშკარად იკვეთება საქმიან ურთიერთობებში. ჩვენს ორგანიზაციაში საპატიმრო დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებები, რომელიც ჩვენ მიერ მიწოდებული იქნა ჩვენი პოზიციის გათვალისწინებით, არ დარჩენილა სათანადო რეაგირების გარეშე, რაც მისასალმებელია. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს სამინისტროს მხრიდან ადეკვატურ მიდგომებს. ამ მხრივ არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებული ურთიერთობები და მიდგომა რადიკალურად განსხვავდება იმ დამოკიდებულებისა და მიდგომებისაგან, რომელიც არსებობდა არასამთავრობო სექტორისა და ასევე პატიმრების მიმართ წინა ხელისუფლების პირობებში. მსჯავრდებულების ძირითად მოთხოვნად რჩება მათი საქმეების ხელახლა გადასინჯვა, სათანადო სამედიცინო მომსახურება. მაგალითად, სასჯელაღსრულების №5 ქალთა დაწესებულებაში შიმშილობს თამარ ტალიკაძე, რომელიც ითხოვს მისი საქმის გადასინჯვას. ასევე იუსტიციის მინისტრთან, პარლამენტის ვიცე-სპიკერთან მანანა კობახიძესთან და ადამიანის უფლებათადაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრას. როგორც ჩემთვის ცნობილია, მისი წერილები გაეგზავნა ადრესატებს. ვიმედოვნებ, ადრესატები შეძლებენ ამ მსჯავრდებულთან გასაუბრებას. რა თქმა უნდა, არ არსებობს სისტემა, სადაც გარკვეული პრობლემები არ არის. თუმცა, ჩვენთვის საყურადღებოა პენიტენციური სისტემის მიერ ჩატარებული სამუშაოები და ასევე სურვილი, მეტად გამჭვირვალე და საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული გახდეს სისტემა. სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის ბატონ სოზარ სუბარს შევთავაზე საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს შექმნის იდეა, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, მსჯელობის საგანს წარმოადგენს, — აცხადებს გიორგი თევზაძე.

კომუნისტური სიმბოლიკის განთავსება 1 000 ლარით დაჯარიმდება

სახელმწიფო დაწესებულებებზე კომუნისტურ-ტოტალიტარული სიმბოლიკის განთავსება 1 000 ლარით დაჯარიმდება. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტის დეპუტატებმა: თამარ კორძაიამ და ლევან ბერძენიშვილმა მოამზადეს.

როგორც „მედიანიუსს“ თამარ კორძაიამ განუცხადა, ცვლილებები თავისუფლების ქარტიაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და რამდენიმე კანონში შედის. მისი მთავარი მიზანი თავისუფლების ქარტიის კანონის სრულყოფაა, რომელიც, დეპუტატის შეფასებით, პრაქტიკულად, მკვდარი და უმოქმედო იყო. სხვა ხარვეზებთან ერთად, ის არც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნორმებს ითვალისწინებდა.

„თუმცა ცვლილებების ძირითადი მიზანი არა სანქციების დაწესება, არამედ თავისუფლების ქარტიის სრულყოფაა. ეს კი ხელს შეუწყობს იმ მემკვიდრეობის გააზრებას, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტოტალიტარულ-კომუნისტური რეჟიმისგან გვერგო და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის დაწყებას. ასევე მთავარია, ამუშავდეს კომისია, რომელიც სათანადო ფაქტების შესწავლითა და დადგენით დაკავდება და ლუსტრაციის საკითხზე იმუშავებს. სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას. უნდა თქვას, რომ ეს ასე იყო და რეპრესიის მსხვერპლთ პატივი მიაგოს. ნებისმიერი სახელმწიფო მმართველობა მაინც მისი წინამორბედების სამართალმემკვიდრეა და სიმართლის თქმა და რეპრესიების მსხვერპლთათვის ბოდიშის მოხდა მისი პასუხისმგებლობაა“, — აღნიშნა თამარ კორძაიამ.

მისი განმარტებით, ხსენებულ კომისიას შინაგან საქმეთა მინისტრი დააკომპლექტებს. სხვებთან ერთად, მასში საპარლამენტო ფრაქციების თითო წარმომადგენელი შევა.

კორძაიას თქმით, ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტურ-ტოტალური მმართველობის გააზრებას და ამაზე სახელმწიფო პოზიციის, ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას. როგორც დეპუტატი აცხადებს, ამ საკითხზე ზედაპირული და არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გვაქვს. ერთი მხრივ, სტალინს ვაღიარებთ, მეორე მხრივ, ვამბობთ, რომ მან ტოტალიტარული მმართველობა შექმნა.

თამარ კორძაიას განცხადებითვე, 1 000-ლარიანი ჯარიმა კანონის პირველ დარღვევაზე დაწესდება. მისი განმეორების შემთხვევაში კი ჯარიმის ოდენობაც გაიზრდება.

კანონპროექტი პარლამენტში წარდგენილია და მისი განხილვა მალე დაიწყება.

მედიანიუსი

დათა ახალაია ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს

შორენა კოწოწაშვილი

რა ხდება ქართულ მართლმსაჯულებაში და რას უნდა მივაწეროთ საპარლამენტო არჩევნების შემდგომ სასამართლოში გამამართლებელი განაჩენების გაზრდა? — ეს კითხვა მუდმივად ისმის საზოგადოებაში და მმართველი პოლიტიკური გუნდი და შესაბამისი უწყებების პირველი პირები დამაჯერებლად რომ ვერ ხსნიან საკუთარ არგუმენტებს, ამიტომაც არის საზოგადოებაში ნიჰილიზმი, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზეც აისახა.

როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა 1-ელი ოქტომბრის არჩევნებზე ნაციონალურ მოძრაობას და მის პოლიტიკას, რაც ფაქტობრივად, ქართველი ხალხის პოლიტიკური რეპრესიების ქვეშ მართვას მოიცავდა, უარი უთხრა. ნაციონალების პოლიტიკური ინსტრუმენტი იყო სასამართლოც ხელისუფლებაც, რომელიც ნაცელიტის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ადგენდა განაჩენებს საქართველოს სახელით. არადა, განაჩენები სასამართლოს საქართველოს სახელით მართლაც უნდა გამოეტანა, ოღონდ არა მაშინდელი მმართველი გუნდის საამებლად, არამედ ობიექტური მართლმსაჯულებიდან და კანონიდან გამომდინარე. სააკაშვილის გუნდიც და სასამართლო ხელისუფლებაც, რომელიც დღესაც არ შეცვლილა, მაშინაც ამტკიცებდა და დღესაც იგივეს იმეორებს, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და მოსამართლე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას.

რატომ ვერ მოხდა ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების და პროკურატურის შესაბამისი რეფორმირება? თითქოს ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცვლილებები მხოლოდ ქაღალდზეა. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან შეხვედრის შემდეგ, აშკარაა, სასამართლო ხელისუფლებამ ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო და ყველა ის მოსამართლე დღესაც უპრობლემოდ ასამართლებს ადამიანებს, რომელთა უკანონო და დანაშაულებრივი განაჩენები დასტა-დასტა იგზავნებოდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

თავის დროზე და შემდგომაც პრემიერის ეს პოლიტიკური ნაბიჯი სათანადოდ არ შეფასდა. უფრო სწორად, მმართველი კოალიციის ლიდერები მოერიდნენ ბიძინა ივანიშვილისთვის განზრახვა დაეწუნებინათ, სამაგიეროდ, მიიღეს იგივე ბაჩო ახალაიას მიმართ გამამართლებელი განაჩენებია, რაც ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება.

ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილის და სხვა გახმაურებულ საქმეებზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები ტელეეკრანებიდან მუდმივად გვიმტკიცებენ, რომ მთავარი პროკურატურა მაქსიმუმს აკეთებს გახმაურებული საქმეებს გამოსაძიებლად და რომ ყველა საქმე სათანადო მტკიცებულებებით არის გამყარებული.

საინტერესოა, თუ ბიძინა ივანიშვილის გუნდის ლიდერები და ის ცნობილი იურისტები, რომლებიც დღეს დეპუტატის მანდატს ფლობენ და კანონს კანონზე იღებენ, სათანადოდ არ არიან ინფორმირებული, რატომ საუბრობენ იმაზე, რაც არ იციან? ან კიდევ, თუ კარგად იციან, რამდენად მომზადებული საქმეებით შედის პროკურატურა სასამართლოში, რატომ საჯაროდ არ საუბრობენ იმაზე, რატომ არის სასამართლო დღეს ასე გათამამებული და რატომ უმტკიცებს ქართველ საზოგადოებას, რომ ბაჩო ახალაია უდანაშაულოა?

ბუნებრივია, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ საზოგადოებას აინტერესებს, სასამართლოა საბოტაჟის რეჟიმში თუ მართაც პროკურატურა მუშაობს ასე უსუსურად? აშკარაა, რომ პროკურატურამ შეცდომა დაუშვა, როცა სერიოზული საკადრო რეფორმა არ განახორციელა და უწყებაში ჯერაც ნაციონალების დასაყრდენი პროკურორები მუშაობენ. ხოლო ახალი პროკურორების ნაწილი კი, რომლებიც ხელისუფლების შეცვლის შემდგომ მივიდნენ კბილაშვილის უწყებაში, ზოგი მათგანი ყოფილი ადვოკატია, ზოგი — ყოფილი მოსამართლე, რომლებიც, როგორც მოსამართლეები, თავის დროზეც არ იყვნენ სამართლიანები, პროკურატურაში კი საინტერესოა, რა ნიშნით მოხვდნენ?

ბაჩო ახალაიას მიმართ მორიგმა გამამართლებელმა განაჩენმა საზოგადოების დიდ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. რიგითი მოქალაქეები, ტენდენციიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, დარწმუნებული არიან, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი და თავისი სისასტიკით ცნობილი ბაჩო ახალაია, მერაბიშვილთან ერთად, მალე გათავისუფლდება და ეს ფარსიც დასრულდება.

ჩვენთვის უცნობია, რა რეაქცია ჰქონდა თავად არჩილ კბილაშვილს ახალაიას მიმართ გამოტანილ მორიგ გამამართლებელ განაჩენზე, მაგრამ ცნობილია, რომ პროკურატურას აშკარად კადრების პრობლემა აქვს. ეს არა მხოლოდ ახალაიას საქმეზე, არამედ იმ საქმეზეც იკვეთება, რომელიც სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის უწყებაში არსებულ მავნე ტენდენციაზე მიანიშნებს. თურმე, სუბარის მინისტრობის პერიოდშიც აცხადებენ პატიმრები თავის ჩვენებებში, რომ მათთან ადმინისტრაციის თანამშრომლებს მიაქვთ მობილური ტელეფონები და თანამშრომლობას სთავაზობენ კონკრეტული პირის დადანაშაულების სანაცვლოდ. მინისტრმა სოზარ სუბარმა, რომელიც აშკარად კარგი სახალხო დამცველი იყო, ეს ნათქვამი სიცრუედ რომ არ ჩათვალოს, დავსძენთ: მსგავსი განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის ერთ-ერთმა მოსამართლემ გააკეთა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, როცა კონკრეტული ბრალდებული პირის ჩვენება გაიხსენა, რომელსაც განაჩენი გამოუტანა. სუბარის უწყებაში არსებული მავნე პრაქტიკის შესახებ მედია ოდნავ მოგვიანებით, ალბათ, უფრო აქტიურად ისაუბრებს, როცა ციალა კაშიას საქმის განხილვა გაიმართება, რადგან აშკარაა, რომ ეს სისხლის სამართლის საქმე საზოგადოებაში ხმაურს გამოიწვევს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ექთანი ციალა კაშია ე.წ. რეზბალნიცაზე შესვლისას დააკავეს საბაბით, რომ თითქოს მას მობილური ტელეფონი შეჰქონდა პატიმართან. თავად კაშიამ კი ტელეეთერით გაკეთებულ განცხადებებში მიუთითა, რომ მის მიმართ ღირსების შემლახავ მოპყრობას ჰქონდა ადგილი; რომ ის გააშიშვლეს კამერების წინ და ადმინისტრაციის ერთ-ერთი თანამშრომელიც ცდილობდა მისთვის ნარკოტიკი ჩაედო. მერე სუბარის სამინისტრო ალბათ ასეთ განცხადებას გაავრცელებდა, პირადი ჩხრეკისას კაშიას საშოში ნარკოტიკი უპოვეს და ამიტომ დააკავესო.

ამ საქმეზე, რომელიც პროკურატურისთვის საკმაოდ დიდი თავსატეხი გახდა და რომელზეც არჩილ კბილაშვილის უწყების წარმომადგენლები საპროცესო შეთანხმებას იხვეწებიან, ოდნავ მოგვიანებით ვისაუბროთ. მანამდე კი, საინტერესოა, რა სახით თანამშრომლობს ბაჩო ახალაიას ძმა დათა ახალაია ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებასთან?!

დათა ახალაია რომ ნამდვილად თანამშრომლობს ახალ ხელისუფლებასთან, ამის შესახებ განცხადება გუშინ ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ გააკეთა. მისი თქმით, ინფორმაცია აქვს, რომ დათა ახალაიამ პროკურატურას გადასცა ინფორმაცია „იარაღის საწყობებთან დაკავშირებით და სქემა, რომლის მიხედვით სააკაშვილი დანაშაულებრივ დავალებებს იძლეოდა“.

— თანამშრომლობა საარჩევნო პერიოდში ცოტა ბუნდოვანი გახდა, თუმცა ვიცი, რომ მათ კიდევ აქვთ სალაპარაკო ერთმანეთთან. ახალაიას პროკურატურაში საკმაოდ გავლენიან ხალხთან აქვს კავშირი. ვიცით, რომ ქვედა რგოლი ასეთ საქმეებში გადაწყვეტილებებს ვერ იღებს, — განაცხადა ადვოკატმა სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას და თავი შეიკავა ინფორმაციის წყაროს დასახელებისგან.

რაც შეეხება პროკურატურის რეაქციას ბაჩო ახალაიას გამამართლებელ განაჩენზე, კბილაშვილის უწყებამ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

ანქვაბის წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მზადდება

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში ვითარება ნელ-ნელა იძაბება. აფხაზური პოლიტიკური ძალები აღექსანდრე ანქვაბის წინააღმდეგ იღაშქრებენ. აფხაზური ოპოზიციის ეხთ-ეხთმა ლიდერმა ხაჯინბამ მისი იმპიჩმენტის საკითხიც კი დააყენა. ანქვაბი და ხაჯინბა ეხთმანეთს ხომ ვეხ იტანენ, ეს ყველასთვის ცნობილი ფაქტია, მაგრამ ასე ღიად ხაჯინბა ანქვაბს ჯერ არ დაპირისპირებია.

ყველასთვის ცნობილია, რომ ანქვაბი თავისი მკაცრი ხასიათით გამოირჩევა. წლების წინ, როცა ის საბჭოთა მილიციაში მსახურობდა, სიჩქარის გადაჭარბების გამო საკუთარი მამა ზოლოტნიკიც კი დააპატიმრა.

თავისი ხასიათიდან და კიდევ რიგი მიზეზების გამო, ის აფხაზი პოლიტიკოსებისა და რუსებისთვის მიუღებელ პერსონას წარმოადგენს. მართალია, მან მოსკოვს ერთგულება შეჰფიცა, მაგრამ კრემლი მას ბოლომდე არ ენდობა. აქედან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია, რატომაც განხორციელდა მასზე 6 ტერორისტული აქტი. აქედან მხოლოდ ბოლო ტერორისტული აქტია გახსნილი, ისიც სანახევროდ.

ამბობენ, რომ ანქვაბი მეშვიდე ტერაქტის მოლოდინშია. ეს ჭორები მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც აფხაზებმა შეიტყვეს, რომ ანქვაბი ჯავშანჟილეტით დადის.

ტერაქტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ანქვაბს წინ სერიოზული პრობლემები ელოდება. რამდენიმე დღის წინ მან თანამდებობიდან გაათავისუფლა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა. ეს უკანასკნელი აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ის აფხაზეთში დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობს.

– ის რაც ანქვაბმა გაბედა, ეს არ გაუკეთებია არც სერგეი ბაღაფშს და ვლადისლავ არძინბასაც კი, – ასე გამოეხმაურა ლაკობას გადაყენებას აფხაზეთის ეროვნული გმირი ბესლან კობახია.

ლაკობას თავის დროზე სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა სერგეი ბაღაფშთან. ამის გამო მან 2009 წლის აგვისტოში თანამდებობა დატოვა. ის მაშინაც უშიშროების საბჭოს მდივანი იყო.

სტანისლავ ლაკობას უმიზეზოდ გათავისუფლების გამო შეშფოთება გამოთქვა ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭომაც. საბჭოს შეფასებით, ლაკობას დათხოვნით პრეზიდენტმა ანქვაბმა დააკანონა საქართველოს მოქალაქეებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემის უკანონო პროცესი.

აფხაზეთის პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა თანამდებობიდან 28 ოქტომბერს გაათავისუფლა. ანქვაბის განკარგულებაში მიზეზი მითითებული არ არის.

თანამდებობიდან გათავისუფლებულმა ლაკობამ სოხუმში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც თავის გადადგომის მიზეზებზე და ანქვაბთან არსებულ უთანხმოებაზე ისაუბრა.

– ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ასეთ მდგომარეობაში ვარ, თუმცა, როგორც წესი, ადრე უხმაუროდ მივდიოდი და პრესკონფერენციებს არ ვმართავდი. ერთადერთხელ, 2009 წლის აგვისტოში, ზუსტად იმავე მიზეზით რომ წავედი, რა მიზეზითაც ახლა ინტერვიუ გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ მივეცი.

გახსოვთ 2009 წლის მოვლენები პარლამენტში. თუმცა ცოტამ თუ იცის, თუ რა ხდებოდა მაშინ უშიშროების საბჭოში. მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი აღმოსავლეთ აფხაზეთის ცნობილი ეროვნების მოსახლეობისათვის პასპორტები მასობრივად დარიგებულიყო და ვთქვი, რომ ამ საკითხს დიფერენცირებული მიდგომა სჭირდებოდა.

ვინ არიან გალელები, რომლებსაც მართლაც სურთ აფხაზურ საზოგადოებაში ინტეგრირება? ეს რამდენიმე ათასი პენსიონერია, რომლებიც მაშინ აფხაზურ პენსიას იღებდნენ, ეს სტუდენტებია, რომლებიც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ და ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც აფხაზურ არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდნენ, – განაცხადა ლაკობამ.

მისივე თქმით, გალის რაიონის ყველა მცხოვრები როდია ლოიალურად განწყობილი აფხაზეთის მიმართ.

– აფხაზეთის უშიშროების სამსახურის მონაცემებით, აფხაზური პასპორტების მიღების მსურველთა შორის 129 ადამიანი იარაღით ხელში იბრძოდა აფხაზეთის წინააღმდეგ. მაშინაც, 2009 წლის აგვისტოში ვამბობდი, რომ მასობრივი პასპორტიზაცია საჭირო არ იყო და რომ ჩვენ საქართველოსთვის ორმაგი მოქალაქეობა არ გვაქვს და რომ ამით კანონი ირღვეოდა. ვთქვი მკაფიოდ და გარკვევით და წავედი. „არსებობს საერთო ნაციონალური პრინციპები, რომელთა დასაცავად კლდესავით ვიდექით მაშინ და ვცდილობდით, ეს პრაქტიკა არ განხორციელებულიყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს პროცესი შეჩერებული ან ძალიან ნელა მიდის. და უცებ, 2012 წლის 5 ივლისის უშიშროების საბჭო, რომელზეც გაისმა პრეზიდენტის მოთხოვნა პასპორტების გაცემისა და რაიონული კომისიების შექმნის შესახებ, – ამბობს ლაკობა.

ანქვაბის მიერ დაფრენილი უშიშროების საბჭოს ექს-მდივანი მიიჩნევს, რომ გალის რაიონის მცხოვრებლებისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭება უკანონობაა.

– ამ ადამიანებს ცხოვრების ნებართვა უნდა მიეცეთ და არა პასპორტი. უკანონოდ არის შექმნილი კომისიები გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ადმინისტრაციებში. თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს, თუნდაც შს სამინისტროს მონაცემების მიხედვით გაცემული პასპორტების რაოდენობამ – 25 ათასი ამ რაიონებში. ამ ადამიანებმა უკვე მიიღეს აფხაზეთის მოქალაქეობა და პრაქტიკულად ყველა ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. აფხაზეთისათვის ასევე საფრთხის შემცველია ისიც, რომ საქართველოს მოქალაქეთა არცთუ მცირე ნაწილს აფხაზური საზღვარგარეთის პასპორტები აქვთ. უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ, მიუხედავად კრიზისისა ჩემსა და პრეზიდენტის ურთიერთობებში, მე ვცდილობდი დამერეგულირებინა ეს საკითხი და შემეჩერებინა პასპორტიზაციის პროცესი. მაგრამ ვერავითარ გაგებას ვერ მივაღწიე, – განაცხადა სტანისლავ ლაკობამ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, ამ საკითხით აფხაზეთის პარლამენტი რომ არ დაინტერესებულიყო და ეს პროცესი არ შეეჩერებინა, სიტუაცია კიდევ უფრო გართულდებოდა და, საბოლოო ჯამში, მივიდოდა ომის შედეგების გადახედვამდე და აფხაზეთის მცოცავ რეინტეგრაციამდე საქართველოს შემადგენლობაში.

პრესკონფერენციაზე ლაკობამ ის მიზეზიც განმარტა, თუ რატომ არ წავიდა თავად თანამდებობიდან. 2009 წელს ასეთი რამ მან გააკეთა.

მისი თქმით, 23 ოქტომბერს მასთან პრეზიდენტ ანქვაბის ადმინისტრაციის უფროსი მივიდა და გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა სთხოვა და მიზეზად ის დაასახელა, რომ პრეზიდენტი მასთან ვერ მუშაობს.

– ეს მე ვერ ვმუშაობ მასთან და არა ის ჩემთან... და საერთოდ, მასთან, არა მგონია, ვინმეს შეეძლოს. ჩემს გადაყენებაზე ხელის მოწერით ანქვაბმა თავის გადაყენებას მოაწერა ხელი, – აღნიშნა ლაკობამ.

უშიშროების აწ უკვე ყოფილი მდივანი თავის გადაყენებას განუკითხაობას და კანონდარღვევას უწოდებს.

– ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, იმიტომ, რომ ასეთი განწყობილებები პრეზიდენტს უკვე კარგა ხანია ჰქონდა. როგორც ცნობილია, ჩატარდა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც გარკვეული გადაწყვეტილებები გამოიტანა. მე სიტყვით გამოვდიოდი უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ვსაუბრობდი იმაზე, თუ რა სიტუაცია იყო აფხაზეთის აღმოსავლეთ რაიონებში პასპორტიზაციის პროცესთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ იყო მოსმენები პარლამენტში, იქ გადაწყდა კომისიის შექმნა, რომელმაც ის დაადასტურა, რაზეც მე ადრე ვსაუბრობდი. შემდეგ უკვე პარლამენტმა კომისიის გადაწყვეტილება დაადასტურა. ანუ, პრეზიდენტის პოზიცია მხარდაჭერილი არ იქნა იმიტომ, რომ ის პასპორტიზაციას ემხრობოდა სწორედ ამ რაიონებში, 30 აპრილის შემდეგ მე ანქვაბი აღარ მინახავს. ჩვენ ურთიერთობა არ გვქონია იმ უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ, რომელიც მისთვის სავარაუდო და სასურველი სცენარით არ წარმართულა. მას უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. შემდეგ ყველაფერმა ამან პარლამენტში გადაინაცვლა. არსებითად მე გამათავისუფლეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და ის რაც მოხდა, სავსებით მოსალოდნელი იყო, მაგრამ ეს ნამდვილი განუკითხაობაა. ეს მართლაც მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ რაღაც ზღვარს მივუახლოვდით. რთულია ამას ავტორიტარიზმიც კი უწოდო. უბრალოდ, ადამიანი ამბობს: „სახელმწიფო ვარ მე“ და არც ერთ კანონს არ ითვალისწინებს. მას კანონზე მაღლა მიაჩნია თავი. ის არღვევდა ყველა კანონსა და კონსტიტუციას, – აცხადებს სტანისლავ ლაკობა.

ანქვაბის ეს გადაწყვეტილება აფხაზურმა საზოგადოებამ დაგმო. მათ რიგებში იყო რაულ ხაჯიმბაც. ის ანქვაბის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას აპირებს. მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი, რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოშორდეს ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაჯიმბას თქმით, ყველაფერი დაინგრევა, რასაც აფხაზეთმა ამ 20 წლის განმავლობაში მიაღწია.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აფხაზეთში სიტუაცია სერიოზულად გამწვავდება. ამ ეტაპზე არეულობას რუსეთი არ დაუშვებს. წინ სოჭის ოლიმპიადაა. ოლიმპიადის მერე კი აფხაზებს ერთმანეთის დაჭმაზე თანხმობას მისცემენ.

მედიაში კი ანქვაბის წინააღმდეგ ახალ შეთქმულებაზე ალაპარაკდნენ. აქამდე მას უმართლებდა. ვნახოთ, რა იქნება ახლა. აფხაზეთში ის დღემდე პროქართული ორიენტაციის პოლიტიკოსად მიიჩნევა. ქართველები კი იქ ძალიან არ უყვართ.

უსუფაშვილმა თანამშრომლები დატუქსა

შორენა მარსაგიშვილი

მრავალჭირნახადი პარლამენტი კიდევ ერთხელ შეიცვლის ადგილს. რამდენიმე თვეში საკანონმდებლო ორგანო დედაქალაქში დაბრუნდება. 2 დღის წინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საკანონმდებლო ორგანოს თბილისში დაბრუნებას მხარი დაუჭირა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანო რამდენიმე თვეში თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობაში იმუშავებს. მას გუშინ თანამშრომლებმა აქცია მოუწყვეს. ისინი თბილისში დაბრუნებას ითხოვდნენ.

– თანამშრომლებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე და მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ეს საკითხი გვარდება და რამდენიმე თვეში ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ თბილისში, პარლამენტის შენობაში რუსთაველზე. იქ სარემონტო სამუშაოები მიდის და შენობის აღჭურვა ხდება. რაიმე კონსტიტუციური საკითხი ამას არ და ვერ დააბრკოლებს. ამ საკითხს ვერაფერი დააბრკოლებს და მიღებული იქნება სათანადო გადაწყვეტილებები, მათ შორის იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა კანონი იქნება ამისთვის საჭირო. მე ვიღებ პასუხისმგებლობას ჩვენი თანამშრომლების წინაშე, რომ ეს ასე იქნება. კონსტიტუციური ცვლილებები, რომელსაც კომისია მოამზადებს, მიღებული იქნება იმ კვორუმით და ისეთი კვორუმით, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და რომელზეც ვენეციის კომისიასთან გვექნება კონსულტაციები, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს დერეფნებში ატეხილი აჟიოტაჟის გამო შენიშვნა მისცა და საკუთარი მოვალეობის შესრულებისკენ მოუწოდა. ამის შესახებ კომენტარი უსუფაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გააკეთა.

– პარლამენტში ჩვენი აპარატის თანამშრომლების უჩვეულო აქტიურობა შეინიშნებოდა. დერეფანი სავსე იყო ჩვენი აპარატის თანამშრომლებით, რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა იქნებოდა სწორი, სად იმუშაოს პარლამენტმა. ამასთან, ამახვილებდნენ ყურადღებას აქ შრომის და ცხოვრების ძალიან მძიმე პირობებზე. მინდა ვთხოვო ყველას, რომ გავაგრძელოთ ჩვენი მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულება ამ ტიპის აჟიოტაჟის გარეშე. აპარატის თანამშრომლები ამ დროს, წესით, საქმით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი. იმის მიუხედავად, რომ თანავუგრძნობ ძალიან ბევრ პრობლემაში, ვთხოვ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. მით უმეტეს, რომ ძალიან მკაფიოდ და სრული პასუხისმგებლობით, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ეს საკითხი სამართლებრივადაც და სხვა ყველა თვალსაზრისითაც გვარდება და რამდენიმე თვეში ჩვენ შეგვეძლება პარლამენტის ძველ, თბილისის შენობაში მუშაობა, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლისთვის კენჭი გუშინ უნდა ეყარათ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს. ამის გამო საკონსტიტუციო ცვლილებების ორი პროექტის კენჭისყრა გადაიდო.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის თქმით, უმრავლესობამ გადაწყვიტა არ იჩქაროს და საკონსტიტუციო ცვლილებების პლენარულ სხდომაზე განხილვა ინაგურაციის შემდეგ მოხდეს:

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, პარლამენტის შენობის ქუთაისში ფუნქციონირებას ამ ქალაქისთვის სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დედაქალაქში დაბრუნება დაუშვებელია.

როგორც ბაქრაძემ ქუთაისის პარლამენტის შენობასთან 1-ელ ნოემბერს გამართულ საპროტესტო აქციაზე აღნიშნა, აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი ქუთაისში იყოს წარმოდგენილი და ყოფილი ხელისუფლების მიერ წამოწყებული პროექტები უნდა გაგრძელდეს.

– თუ ქუთაისიდან გაისად გადავიდა პარლამენტი, თუ ქუთაისში დამთავრდა იმ პოლიტიკური ცენტრის შექმნის პროექტი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, გაისად ქუთაისს გვერდს აუვლის ცენტრალური ავტომაგისტრალიც და გამოვა, რომ ქუთაისი დარჩება იზოლირებული, მოწყვეტილი ქალაქი, რომელსაც არ ექნება განვითარების პერსპექტივა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ქუთაისში უნდა დარჩეს პარლამენტიც, უნდა გადმოვიდეს ქვეყნის პოლიტიკური ცენტრიც და ამ გზით უნდა განვითარდეს ეს ქალაქი და მთლიანად იმერეთის რეგიონი, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ქუთაისში გუშინ პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქციაც გაიმართა. აქციის მონაწილეები პარლამენტის ქუთაისში დატოვებას ითხოვდნენ. მეოცნებე დეპუტატების განცხადებით, აქციას არა მოსახლეობა, არამედ ნაცმოძის აქტივისტები მართავდნენ.

ირინა იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად ინიშნება

მის ადგილს პარლამენტში მურთაზ ხურცილავა დაიკავებს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ახალი პრეზიდენტი მოვალეობის შესრულებას 17 ნოემბრიდან შეუდგება. ინაუგურაციის შემდეგ საქართველოს ახალი უშიშროების საბჭოს მდივანი ეყოლება. გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ ამ პოსტს დეპუტატი ირინა იმერლიშვილი დაიკავებს.

ხმები მისი უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნის შესახებ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. თავიდან იმერლიშვილმა ეს ინფორმაცია უარყო, გუშინ კი დაადასტურა.

„ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ ამ თანამდებობას იმერლიშვილი თავს კარგად გაართმევს. სხვათა შორის, იმერლიშვილი ერთადერთი ქალია, რომელსაც გენერლის წოდება აქვს. გენერლობა მას მიხეილ სააკაშვილმა მიანიჭა. წლების წინ იმერლიშვილი იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო, სააკაშვილი კი მინისტრი.

იმერლიშვილის ადგილი პარლამენტში, წესით, საარჩევნო სიაში მისმა ადგილმონაცვლემ უნდა დაიკავოს. ასეთი მანანა ბერიკაშვილია, რომელსაც ამ ეტაპზე კულტურის მინისტრის მოადგილის პოსტი უკავია.

ჟურნალისტებთან საუბარში ბერიკაშვილმა განაცხადა, რომ ის პარლამენტში გადასვლაზე არ ფიქრობს. ამის გამო იმერლიშვილის ადგილს პარლამენტში ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა დაიკავებს.

სალომე ზურაბიშვილი: „საინტერესოა, რას ემსახურება ეს სამართლობანას თამაში?!“

ნათია ხურცილავა

სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელებში კვლავ აქტიურია. პარიზში მყოფი საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი თავის პოზიციებს კვლავ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე აფიქსირებს. ამჯერად მას კითხვები „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ადგილზე გასვლასთან და სამართლიანობის აღდგენის საკითხთან აქვს.

– რა საწყისებზე და რა რეალობაზე უნდა ავაშენოთ ხვალინდელი ჩვენი ქვეყანა? – კითხვას სვამს ზურაბიშვილი.

– რას ემსახურება სამართლიანობის აღდგენა? ორივე შემთხვევაში ეს საქართველოს გაძლიერებას და ფეხზე დადგომას არ ემსახურება და საინტერესოა, რას ემსახურება ეს სამართლობანას თამაში? – კითხვას სვამს სალომე ზურაბიშვილი.

სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ მისთვის ახალაიას ასე გამართლება და „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ადგილზე გაყვანა სერიოზულ კითხვებს ბადებს.

„საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე აცხადებს, ხელოვნურად გაუადვილეს დავით ბაქრაძეს ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ოპოზიციური მონოპოლიის შენარჩუნება პარლამენტში.

– ნამდვილად არ ვარ „ყველა დააპატიმრეთ, ყველა დახვრიტეთ“ წესის მომხრე, მაგრამ ბაჩო ახალაიას ასე გამართლება და „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ადგილზე პარლამენტში გაყვანა სერიოზულ კითხვებს სვამს. ადრე ვამბობდი, რომ არ ვიყავი მომხრე „ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების და ვთვლიდი და დღესაც ასე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ორი გზაა დემოკრატიაში სახელისუფლებო პარტიის დანაშაულების დასჯისა, ერთი სამართლებრივი და პიროვნული, მეორე არჩევნებით და კოლექტიური. არსებულმა სისტემამ, როგორც გამოჩნდა, არც ერთის საშუალება მოგვცა და არც მეორის, – ამბობს ზურაბიშვილი.

საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს კითხვები უჩნდება მთავარი პროკურორის საქმიანობისადმი. ზურაბიშვილის კითხვები პროკურატურის საქმიანობას ეხება, რომელიც, მისი განცხადებით, არაადეკვატური ბრალდებებითა და მუხლებით გამოდის სასამართლოს წინაშე და შემდეგ სასამართლოს უჭირს განაჩენის გამოტანა.

– პროკურორი მთავარ დანაშაულებზე გამოძიებას ან არ ატარებს, ან აგვიანებს, არაადეკვატურ ბრალდებებსა და მუხლებს უყენებენ, შემდეგ კი სასამართლოს განაჩენი ვერ გამოაქვს. ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი გზა გამოუყენებელი რჩება. ამ დროს პოლიტიკური განაჩენი ხალხისგან არჩევნების დროს ვერ იქნა გამოტანილი, რადგან ხელოვნურად გაუადვილეს ბაქრაძეს ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ოპოზიციური მონოპოლიის შენარჩუნება პარლამენტში, – აცხადებს ზურაბიშვილი.

ზურაბიშვილი ორ ძალიან მძიმე შედეგზე საუბრობს.

– არსებული სიტუაციიდან საქართველოს მომავალი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის და საერთოდ საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისათვის ორი ძალიან მძიმე შედეგი იკვეთება, – ამბობს შალომე ზურაბიშვილი და ამ მიზეზებს განმარტავს.

– ერთი ის, რომ თუ ახალაია გამართლებულია, ესე იგი რა? ჩვენ ამდენი ხანი ვცდებოდით? და ამ მრავალწლიან ბრძოლას „დამნაშავე სისტემის“ წინააღმდეგ კი არა, არამედ უდანაშაულო პირების მიმართ ვაჩაღებდით? ე.ი. ყველაფერი მოჩვენებითი ყოფილა: წაგებული ომი მართლა მოგებული ყოფილა, ციხეებში ცოცხები კი არა, ვარდები და სამეგრელო ახალაიების ტერორის ქვეშ მოქცეული არ ყოფილა ანუ რაღაც კოლექტიური ნევროზი დაგვმართინია და არაფერი ისეთი არ მომხდარა. მეორე უფრო სერიოზული კითხვა: რა საწყისებზე და რა რეალობაზე უნდა ავაშენოთ ხვალინდელი ჩვენი ქვეყანა. შევარდნაძის პერიოდი აშენდა ტყუილზე, არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლების გადატრიალებაზე და არაფრის აღიარებაზე, სააკაშვილის რეჟიმმა კი ტყუილის მანქანა შექმნა თავისი პოტიომკინის „მოდელირებული“ სამყაროთი, – წერს სალომე ზურაბიშვილი.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი საუბრობს იმ კოლიზიაზე, რომელიც, მისი წარმოდგენით, ჯანსაღი სახელმწიფოს შექმნისთვის მიუღებელი და შეუძლებელი იქნება.

– თუ არ გვეცოდინება, რა მოხდა, ვინ იყო პასუხისმგებელი და დამნაშავე წინა რეჟიმის კრიმინალურ ქმედებებზე (და ვინ არა), მაშინ ან ყველა იქნება სამუდამოდ დამნაშავე ჩვენს წარმოდგენაში და შერიგება/დავიწყება შეუძლებელი იქნება (როგორც ვერ შედგა შერიგება და ზვიადისტების ქვეყნის პოლიტიკაში ისევ ჩართვა), ან არავინ და მაშინ ჩვენ თვითონ ვყოფილვართ დამნაშავეები. თუ წარმოვიდგინეთ, რაც არ არსებობდა ანუ გიჟები. შერიგებას პატიება უნდა, პატიებას კი – სიმართლის აღიარება, ფაქტები და მტკიცებანი. სხვა შემთხვევაში ქვეყანა მიეცემა ან გაუთავებელ სიძულვილს, რომელიც შემცვლელია სამართლისა და არაფრის შემქმნელი, ან გაღრმავებულ ნევროზს, რომელიც უკვე ისედაც გვჭირს. ორივე შემთხვევაში ეს საქართველოს გაძლიერებასა და ფეხზე დადგომას არ ემსახურება და საინტერესოა, რას ემსახურება ეს სამართლობანას თამაში?! – აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

დავით ნარმანია თბილისის მერობაზე არ ფიქრობს

ნათია ხურცილავა

მას შემდეგ, რაც უკვე ცნობილია, ვინ არის საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, დღეს ცნობილი გახდება, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, ჩნდება კითხვა: ვინ იქნება თბილისის არჩეული მერი?

გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ გიგი უგულავა დავით ნარმანიამ შეცვალოს, თუმცა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი თბილისის მერის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის განხილვას არ ადასტურებს.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ თავის ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ნაფიქრი აქვს, თუ ვინ შეიძლება იყოს მერის მომავალი კანდიდატი. თბილისის მერი პირდაპირი არჩევნების წესით 2010 წლის 30 მაისს ოთხი წლის ვადით იქნა არჩეული. თბილისის მერი პირდაპირი არჩევნების წესით პირველად სწორედ 2010 წელს იქნა არჩეული. ამდენად, მერის თანამდებობა არჩევითია და მას დედაქალაქის მოსახლეობა ოთხი წლის ვადით ირჩევს.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, თბილისის მოსახლეობის მიერ არჩეული მერი არა მხოლოდ მეურნე, ქალაქის ინფრასტრუქტურასა და სხვა პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული პირი ხდება, არამედ ის ხდება სერიოზული პოლიტიკური ფიგურა. შეიძლება ითქვას, სწორედ ამ მოტივით იღებდა 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას ირაკლი ალასანია. მაშინ ირაკლი ალასანიამ მერის არჩევნები წააგო.

ვინ იქნება თბილისის ახალი მერი? ეს კითხვა ჯერ უპასუხოდ რჩება.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა „პირველის“ პრესკლუბში განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე პრემიერთან საუბარი არ ყოფილა.

– ამის შესახებ მეც დღეს მოვისმინე. ამ ინფორმაციას არ და ვერ ვადასტურებ. ამ საკითხზე საუბარი პრემიერთან არ ყოფილა, – განაცხადა ნარმანიამ. იქვე მინისტრი დასძენს, რომ მომავალ წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროს ამბიციური გეგმები აქვს.

რა ამბიციური გეგმები აქვს ნარმანიას მინისტრის რანგში, ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი ის 17 ნოემბერს დაგეგმილი პრეზიდენტის ინაუგურაციის საორგანიზაციო ნაწილზე საუბრობს. ნარმანიას განცხადებით, მისი სამინისტრო საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს.

როგორც ცნობილია, 17 ნოემბრის ინაუგურაციისთვის პროგრამის შემუშავება ჯერ არ დასრულებულა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა განაცხადა, რომ მისი უწყება ძირითადად საორგანიზაციო კომპონენტშია ჩართული.

– ახლა კეთდება პროგრამა და მისი დასრულების შემდეგ საინაუგურაციო კომისიაში ჩართული ყველა უწყების ფუნქცია გაიწერება, – განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილის საინაუგურაციო ღონისძიების ხარჯვით ნაწილს, მინისტრის განმარტებით, ხარჯები ჯერ დათვლილი არ არის, თუმცა, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ინაუგურაცია მილიონ ლარამდე დაჯდება.

– როგორც ცნობილია, ინაუგურაციის ღონისძიება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება. ბიუჯეტი ჯერ დაანგარიშებული არ არის და, როცა ღონისძიების პროგრამა შემუშავდება, ბიუჯეტს, სავარაუდოდ, ფინანსთა სამინისტრო გაახმოვანებს, – განმარტა ნარმანიამ.

დავით ნარმანიამ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საკითხზეც ისაუბრა. მან ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობის ახალ მოდელს ეხება.

ნარმანიას მტკიცებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობის ახალი მოდელი ხარჯების გაზრდას არ გამოიწვევს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა თვითმმართველობის კოდექსიც შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს არის ევროპული მოდელი.

– ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მოვამზადეთ იმისთვის, რომ საქართველო თვითმმართველობის მოწყობის ევროპულ მოდელზე გადავიდეს. შედეგად, ნაცვლად 64 ადგილობრივი ერთეულისა, მივიღებთ 100-ზე მეტ ერთეულს. მთავარი მიზანი ისაა, რომ თვითმმართველმა ორგანოებმა სწრაფად გადაწყვიტონ ადგილობრივი პრობლემები, – განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ ახალი მოდელი საბიუჯეტო ხარჯების არსებითად გაზრდას არ გამოიწვევს.

– აღნიშნული ხარჯების გაზრდას ნამდვილად არ გამოიწვევს. უბრალოდ, ფული, რომელიც აკუმულირებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტში, თანდათან, შესაბამისად, უნდა გადანაწილდეს დაბლა არსებულ ბიუჯეტებში, – აღნიშნა ნარმანიამ.

საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილი შესაძლოა ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში დარჩეს.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განაცხადა, ამ საკითხზე კონსულტაციები უკვე დაწყებულია.

– ევროპის ძალიან ბევრი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს იმას, რომ საშემოსავლო გადასახადი რჩება ადგილებზე ამ მხარეებში თავისი ბუნებიდან გამომდინარე იმისათვის, რომ თვითმმართველობებმა შეძლონ თავიანთი უფლებამოსილების შესრულება. თქვენ იცით, რომ დღეს მხოლოდ ქონების გადასახადი ირიცხება თვითმმართველობების ბიუჯეტში, მაგრამ არ არის საკმარისი და, მით უმეტეს, არ იქნება საკმარისი, როცა ფუნქციურად უფრო მეტად დაიტვირთებიან თვითმმართველობები, რომ მათ ამ მწირი შემოსავლებით უზრუნველყონ ფუნქციების შესრულება. შესაბამისად, ჩვენი მოდელის მიხედვითაც, საშემოსავლო გადასახადი უნდა გადანაწილდეს ადგილობრივ და სამხარეო ბიუჯეტებში იმისათვის, რომ მათ შეძლონ თავიანთი უფლებამოსილებების შესრულება, – განაცხადა ნარმანიამ.

როგორც დავით ნარმანია აცხადებს, 2015 წლამდე უნდა შემუშავდეს და დაითვალოს კონკრეტული პროცენტი საშემოსავლო გადასახადის გადანაწილებასთან დაკავშირებით.

გიორგი მარგველაშვილი: „სოხუმის, ცხინვალისა და მოსკოვის მიმართულებით კომპლექსურად ვიმუშავებთ“

აფხაზები თავად მოინდომებენ ქართველებთან ცხოვრებას – აღნიშნული განცხადება საქართველოს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ბი-ბი-სი-ს რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. მარგველაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სოხუმის, ცხინვალის და მოსკოვის მიმართულებით, საქართველოს წარმომადგენლები კომპლექსურად იმუშავებენ.

„ჩვენ გვაქვს გარეული მზადყოფნა დავწიოთ დაძაბულობა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში. გარკვეულ მომენტში, ვიქნებით მზად, უფრო ეფექტურად ვიმუშაოთ ჟენევის ფორმატში დღეს არსებული რეალობის შესაცვლელად. ეს საკითხები დიალოგით უნდა გადაწყდეს იმ მოსახლეობასთან, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე დარჩა. პირველ რიგში, ურთიერთობას გავაგრძელებთ ჩვენს პარტნიორებთან, ამ ტერიტორიების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების არ აღიარების მიმართულებით“ – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოში შეიქმნება ისეთი საზოგადოება, სადაც ყველა მოქალაქე, მათ შორის, ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაცული იქნება.

„ჩვენ ვიმუშავებთ კომპლექსურად სოხუმის, ცხინვალის და მოსკოვის მიმართულებით და ჟენევის დისკუსიის ფორმატში, თუ შევძლებთ მოლაპარაკებათა მაგიდას მივუსხდეთ და გავიაზროთ რომ არსებული სიტუაცია არცერთ მხარეს არ აწყობს, მაშინ მოვახერხებთ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემების მოგვარებას“-განაცხადა მარგველაშვილმა.

ნიუსპრესი

ძველაიას გარდაცვალების მიზეზი მექანიკური ასფიქსია გახდა

ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ევროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად, 16 წლის გოგა ძველაიას გარდაცვალების უშუალო მიზეზია მექანიკური ასფიქსია განვითარებული კისრის ორგანოებზე მარყუჟის ზეწოლის შედეგად – ამის შესახებ საზოგადოებრივ მაუწყებელს პროკურორმა ლაშა ლაღიძემ განუცხადა.

მისი თქმით, დამატებით მიმდინარეობს სათვალთვალო კამერებით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაღებული ვიდეოფირების შესწავლა, იმის გასარკვევად ხომ არ არის ის დამონტაჟებული.

შესაბამისად, პროკურატურაში ვარაუდობენ, რომ საქმე თვითმკვლელობას ეხება. გამოძიებაც თვითმკვლელობის ვერსიით გაგრძელდება.

გოგა ძველაია ქუთაისის ციხეში 8 ოქტომბერს გარდაიცვალა. წინაწასწარი ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზად თვითმკვლელობა დასახელდა, ეს ვერსია კი ოჯახმა ეჭვქვეშ დააყენა. მათ ალტერნატიული ექსპერტიზა ჩაატარეს. პატიმარი 16 წლის იყო. მოგვიანებით ოჯახმა ციხეში სათვალთვალო კამერებით გადაღებული კადრების ნახვა მოითხოვა. ჩვენება სასჯელაღსრულების სამინისტროში შედგა, სადაც პატიმრის მამამ დარბაზი მალევე დატოვა და განაცხადა, რომ კადრებში საკუთარი შვილი ვერ ამოიცნო.

ნიუსპრესი

საქართველოში სომხეთიდან 470 ტონაზე მეტი დაავადებული კარტოფილი შემოიტანეს

სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საქართველოში სომხეთიდან, 470 700 კგ. კარტოფილით დატვირთული 20 მანქანა შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელებისას, პირველადი შეფასებით, ტვირთში კარტოფილის საკარანტინო მიკროორგანიზმის ღალსტონია სოლანაცეარუმ – მურა სიდამპლის და საკარანტინო მავნებლის შყნცჰყტრიუმ ენდობიოტიცუმ – კარტოფილის კიბოს არსებობაზე მიუთითეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საკარანტინო ობიექტის იდენტიფიკაციისა და დადასტურების მიზნით, ეტაპობრივად ნიმუშები სპეციალურ ლაბორატორიაში გაიგზავნა. ლაბორატორიულმა კვლევამ კარტოფილის 3 ნიმუშში (114500კგ) , საკარანტინო მიკროორგანიზმი ღალსტონია სოლანაცეარუმ – კარტოფილის მურა სიდამპლე დაადასტურა, ხოლო დანარჩენი ნიმუშები (356200კგ.) კვლევის პროცესშია.

საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას ექვემდებარება.

ნიუსპრესი

არ მოკლათ „მუზა!“

ეკა ირემაშვილი

არ მოკლათ მუზა! – ასეთია მოწოდება ყველა იმ ადამიანისა, რომლებსაც კლასიკური მუსიკა უყვართ. საუბარია რადიო „მუზაზე“, რომელიც დახურვის პირასაა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნოემბრის ბოლოს „მუზა“ არსებობას შეწყვეტს. ამის მიზეზი კი საკითხის სამართლებრივ ჩიხში შესვლაა.

სანდრა ელისაბედ რულოვსის მიერ დაფუძნებული რადიო „მუზა“, რომელსაც გასულ წლებში ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუ“ აფინანსებდა, დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

– გამოხატეთ თქვენი მხარდაჭერა 24-საათიანი კლასიკური მუსიკის რადიოარხის მიმართ, რადგანაც ჩვენი გადარჩენის საკითხი დგას! – მოუწოდებს სანდრა რულოვსი საზოგადოებას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

ამბობენ, რომ პრობლემები რადიოში მას შემდეგ დაიწყო, როცა ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. 2012 წლიდან რადიოს „ქართუს“ დაფინანსება აღარ აქვს. იმასაც ამბობენ, რომ თუკი ეს პრობლემა პოლიტიკურ ჭრილში განიხილება, სანდრა რულოვსი მზად არის, რადიოს გადასარჩენად განზე გადგეს, საკუთარი გადაცემაც დახუროს და მისი სახელიც აღარსად ფიგურირებდეს.

სპეციალურად რადიოს მხარდასაჭერად სოციალურ ქსელში შექმნილია გვერდი „არ მოკლათ მუზა“, რომელსაც ათასობით ადამიანი იწონებს და აზიარებს. ამავე გვერდზე გამოქვეყნებულია ელისო ვირსალაძის, გია ყანჩელის, ხატია ბუნიათიშვილის, გია ბუღაძის, ლაშა ბუღაძის, კახა თოლორდავასა და ზურაბ გეწაძის ღია წერილები კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას სახელზე, სადაც ავტორები რადიოს არსებობის გაგრძელების მნიშვნელობის შესახებ წერენ.

გარდა ამისა, გვერდზე ატვირთულია საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ხელოვანების, დირიჟორების, მოაზროვნეებისა თუ მწერლების შეხედულებები ამ ფაქტთან დაკავშირებით: ელისო ვირსალაძე – „მე არ მეყოფა სიტყვები, რომ აგიხსნათ თუ რამდენად მნიშვნელოვანია „მუზა“, გიორგი ბაქრაძე – „თქვენ მნიშვნელოვანი ნაწილი ხართ ჩემი ყოველდღიური ცხოვრებისა“, შავლეგ შილაკაძე – „რადიო „მუზა“ სჭირდება საქართველოს სულიერ ეკოლოგიას!“, დავით მუქერია – „ეს ჯერ ორი ფორტეა, თუ საჭირო გახდა ექვსი ფორტეც იქნება!“, პაატა ქურდაძე – „კულტურა არ არის ნავთობი“, დეფი – „არ იქნება „მუზა“?! არ იქნება თავისუფლება“. დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე მოითხოვს საკითხში სასწრაფოდ გარკვევას და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს „სასწრაფოდ გადაწყვიტონ რამე!“ მსოფლიოში ცნობილი მაესტრო არიელ ცურკერმანი კი მოუწოდებს ყველას: „გთხოვთ, არ მოკლათ „მუზა!“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ვარშავაში, შოპენის მუზეუმის დირექტორმა მითხრა, ბატონო მინისტრო, იქნებ როგორმე გადაგვირჩინოთ რადიო „მუზა“. „ფეისბუქის“ სპეციალურ გვერდზე „არ მოკლათ მუზა“ საგანგაშოდ მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ: „სამწუხაროა, რომ ეს ინფორმაცია უკვე ქვეყნის ფარგლებს გასცდა, აქ კი ჯერ კიდევ არანაირ ზომებს არ იღებენ, რა სირცხვილია!“ კულტურის მინისტრის მოადგილის მანანა ბერიკაშვილის ინფორმაციით, ამ საკითხზე მუშაობა სამინისტროში მიმდინარეობს და კონკრეტული გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის აუცილებლად გახდება ცნობილი, თუმცა როდის, ეს ჯერჯერობით უცნობია. მანამდე კი რადიო „მუზა“, რომ იტყვიან, სულს ღაფავს და, არ არის გამორიცხული, ამ თვის ბოლოს მისი სიგნალი რადიოსიხშირეებზე გაქრეს.

– ძვირფასო მეგობრებო, რადიო „მუზას“ ერთგულო მსმენელებო და გულშემატკივრებო! ამა წლის 27 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ა(ა)იპ კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციას შორის დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), რომელსაც წარმოადგენს მინისტრი მირიანე ოდიშარია და ა(ა)იპ კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია (შემდგომში – ასოციაცია), რომელსაც წარმოადგენს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე სანდრა ელისაბედ რულოვსი, ვადასტურებთ რა რადიო „მუზის“ მნიშვნელობას კლასიკური, ქართული ტრადიციული და სასულიერო მუსიკის განვითარებაში, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას, ურთიერთთანამშრომლობით ხელი შევუწყოთ რადიო „მუზის“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებას და შემდგომ ფუნქციონირებას“. სამწუხაროდ ეს პირობა დღემდე არ შესრულებულა. რადიო „მუზის“ თანამშრომლები დიდი ხანია ვცდილობთ დავუკავშირდეთ, შევხვდეთ ბატონ მინისტრს და მოადგილეებს, მაგრამ უშედეგოდ; ძალიან გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ეს ვერ ხერხდება. ვინაიდან რადიო „მუზას“ არსებობის რესურსი უკვე ეწურება და ჩვენ აღარ გვაქვს დრო მინისტრისა და მისი მოადგილეებისთვის ხელსაყრელ და თავისუფალ დროს დაველოდოთ, ამიტომ ვეცდებით სხვა საშუალებებით მივაწვდინოთ ხმა ყველას, ვინც ხვდება რადიო „მუზის“ ეროვნულ მნიშვნელობას და შეძლებს გადაარჩინოს საქართველოში კულტურის ერთადერთი მაუწყებელი. მოგმართავთ ყველას, ვინც თვლით, რომ რადიოს გათიშვა ქართულ კულტურას დიდ ზიანს მიაყენებს – მხარი დაგვიჭიროთ! ჩვენ გვერდით დადგეთ და ერთად გადავარჩინოთ რადიო „მუზა“, – აღნიშნულია საგანგებო განცხადებაში.

რადიო „მუზის“ შემქმნელები ღია წერილსაც აქვეყნებენ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მისამართით:

– კულტურა სამართლებრივ ჩიხშია! 2013 წლის 27 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ა(ა)იპ კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციას შორის შედგა თანამშრომლობის მემორანდუმი. რის თანახმადაც, კლასიკური მუსიკის რადიო „მუზის“ გამართული ფუნქციონირებისთვის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებას (მუხლი 2.2.ა.);

ასოციაცია, კი თავის მხრივ, რადიოს ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (მუხლი 2.2.ბ.).

ამ მოვლენიდან ოთხი თვის თავზე ირკვევა, რომ საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, სამინისტროს (თურმე) არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთარი მაუწყებლობა და იგი არაოფიციალური, ვერბალური ფორმით რადიო „მუზას“ განუმარტავს: „რომ ჩვენ სამართლებრივ ჩიხში ვართ...“ და მხოლოდ ამ ჟესტით „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო“ იხსნის მემორანდუმის პირობებით დაკისრებულ ვალდებულებებს. „მემორანდუმ“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს: „ის რაც უნდა გახსოვდეს“.

ამრიგად, საქართველოს პატივცემულო მთავრობავ, თქვენ მოგმართავთ საქართველოში და მთელ ამიერკავკასიის რეგიონში უნიკალური რადიომაუწყებელი თავისი ფორმატით, სამუშაო სტილითა და მნიშვნელობით.

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ეს ორგანიზაცია კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ჩვენი გუნდი ყოველთვის მუშაობდა არაკომერციულ, „მეინსტრიმისგან“ მკაცრად გამიჯნულ, ნაკლებად პოპულისტურ, ინტელექტუალურ თემატიკაზე, რის დეფიციტსაც განვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად სწორედ საზოგადოებრივი სამაუწყებლო კომპანიები ებრძვიან. ჩვენს ქვეყანაში კი ინტელექტუალური (24 საათი) საეთერო დროით სწორედ რადიო „მუზა“ დომინირებს.

ამ, ერთი შეხედვით, უბრალო რადიოსადგურის გაჩენამ ქვეყანაში განაპირობა ჯანსაღი კონკურენცია პროფესიონალურ საშემსრულებლო ასპარეზზე. თანამედროვე სტანდარტებით, უსასყიდლოდ განხორციელებულმა, აკადემიური კონცერტების რეგულარულმა ჩაწერამ და გაშუქებამ, პირდაპირი გავლენა იქონია საორკესტრო კოლექტივების მოტივირებაზე. ფრანგულმა ტელეარხმა ძძ -მ სწორედ „მუზას“ ტექნიკურ-ინტელექტუალურ ბაზაზე დაყრდნობით განახორციელა თავისი პირველი და ერთადერთი პროექტი საქართველოში. ხდება საფესტივალო ღონისძიებების ჩაწერა და ხარისხიანი აუდიო სიგნალის ტელევიზიებისთვის (ასევე უსასყიდლოდ) მიწოდება, რაც ავტომატურად დაარქივებას და სამომავლოდ „ოქროს ფონდის“ გამდიდრებას გულისხმობს. ქვეყანაში განხორციელებული აკადემიური და ფოლკლორული კონცერტები ჩვენი მეშვეობით მიეწოდება ევროპის მაუწყებელთა კავშირს, რომლის ასოცირებული წევრიც გახლავთ რადიო „მუზა“ 2010 წლიდან, რაც საუკეთესო საშუალებაა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო კულტურულ დიალოგში ჩართულობისა.

უკვე გამოცემულია პროფესორ რევაზ თავაძის აუდიო ლექციები „საუბრები პიანიზმის ისტორიაზე“, უნიკალური მუსიკალური მასალის დართვით. ასევე გამოცემისთვის მზად არის ნოდარ ანდღულაძისა და გია ბუღაძის საავტორო პროექტები, შემეცნებითი ხასიათის აუდიო წიგნების სახით.

ჩვენს ეთერში არასდროს გასულა რეკლამა (კულტურული ღონისძიებების და განათლების სექტორის უფასო საინფორმაციო მხარდაჭერის გარდა) და არც პოლიტიკურ „თოქ-შოუებს“ დათმობია დრო. ჩვენი პროგრამული ბადე ემსახურება მხოლოდ ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების პროპაგანდას, ამ სფეროებში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვას და ანალიზს. თითქმის ექვსი წლის მანძილზე მუსიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, პროფესიონალი წამყვანები, პროდიუსერები, კრეატიული ტექნიკური ჯგუფი, საინტერესო სტუმრებთან და კოლექტივებთან ერთად ქმნიდნენ პროდუქტს, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი და საამაყო ბრენდია. სწორედ ამის გამო ის საზოგადოებისგან დიდ ინტერესს და სრულიად მოულოდნელ, მზარდ რეიტინგულ მაჩვენებლებს იმსახურებს. საზოგადოების დიდი ნაწილი მას მიიჩნევს განტვირთვის, შემეცნებისა და კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ.

ამ წუთებში, როცა თქვენ ამ წერილს ეცნობით, ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 400.000 რადიომომხმარებელი, ხოლო ინტერნეტის საშუალებით კი კლასიკური მუსიკის მოყვარულთა განუსაზღვრელი ოდენობის აუდიტორია მთელი გულისყურითაა მომართული ჩვენს სიხშირეზე. გთხოვთ, სათანადოდ შეაფასოთ რადიოარხ „მუზის“ შესაძლებლობები, როლი ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარების საქმეში. ბატონებო, ეს ეროვნული პროექტია!

გთხოვთ, შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურების გატარებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიეცეს უფლება საკუთარი მაუწყებლობის ფლობისა. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი ცვლილებები არანაკლებ სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის, ვიდრე პარლამენტში უახლოეს წარსულში დიდი წარმატებით მიღებული სხვა კანონპროექტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, რადიო „მუზა“ შეწყვეტს მაუწყებლობას. გმადლობთ, რომ გაეცანით წერილს“, – წერია ღია წერილში.

რადიო „მუზა“ არის პირველი და ერთადერთი რადიოსადგური საქართველოში, რომელიც 24 საათის განმავლობაში კლასიკურ მუსიკას გადასცემს. რადიო „მუზა“ სანდრა ელისაბედ რულოვსის ინიციატივით დაარსდა. რადიოსადგურის ჩამოყალიბებაში რამოდენიმე ჰოლანდიურმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. მაუწყებლობის შესახებ ლიცენზია რადიო „მუზამ“ 2006 წლის დეკემბერში მიიღო, ხოლო რადიოპროგრამები ეთერში 2007 წლის ზაფხულიდან გავიდა. დღემდე რადიო ყოველგვარი კომერციისა და მოგების გარეშე მუშაობს. 2010 წლიდან რადიო „მუზა“ ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია. 2007 წლის ზაფხულიდან რადიო „მუზა“ მაუწყებლობდა მხოლოდ თბილისში, დღეს კი უკვე მისი მოსმენა საქართველოს 10 რეგიონშია შესაძლებელი, რაც იმის დასტურია, რომ საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტს შესაძლებლობა აქვს, 24 საათის განმავლობაში კლასიკურ მუსიკას უსმინოს. რადიო „მუზას“ მოსმენა შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებითაც. რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მფლობელი არის „კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა“ ასოციაცია, რომელსაც თავმჯდომარეობს ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვსი. გამგეობის წევრები გახლავთ მანანა დოიჯაშვილი და ნინო ანანიაშვილი.

რადიო „მუზა“ არა მხოლოდ კლასიკური მუსიკის მაუწყებელია საქართველოში, არამედ იგი საზოგადოებრივ ინტერესებსაც ემსახურება: აცნობს ქართულ აუდიტორიას ევროპასა და მსოფლიოში არსებული კლასიკური მუსიკის სიახლეებს, მათ შორის საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მუსიკოსების შესახებ, ასევე მთელ მსოფლიოს აწვდის ინფორმაციას ქართული მუსიკისა და ქართველი შემსრულებლების, ასევე საქართველოში მიმდინარე ფესტივალისა და ღონისძიებების შესახებ.

საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მისი კულტურული მნიშვნელობა ბევრად აღემატება მსმენელისთვის მხოლოდ სიამოვნების მინიჭების ფუნქციას. რადიო „მუზას“ მიზანია, მრავალფეროვანი მუსიკა მიაწოდოს ქართულ აუდიტორიას და ხელი შეუწყოს ქართული მუსიკის განვითარებასა და პოპულარიზებას, რათა იგი ხელმისაწვდომი გახადოს მთელი მსოფლიოსათვის.

რადიოს დამფუძნებელი და ერთ-ერთი რადიოწამყვანი სანდრა ელისაბედ რულოვსი ჰოლანდიელია. მან წარჩინებით დაამთავრა ბრიუსელის თარჯიმანთა და მთარგმნელთა სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი ფრანგული და გერმანული ენების სპეციალობით. ის საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტად და ნიდერლანდების სამეფოს საპატიო კონსულის თანაშემწედ მუშაობდა, იყო ჰოლანდიური რადიოს კორესპონდენტი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ საკითხებზე გადაცემებს ამზადებდა. მან დააფუძნა საქველმოქმედო ფონდი „სოკო“, რომელიც საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების დასახმარებლად დასავლეთ ევროპული და ქართული კომპანიებისა თუ კერძო პირების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებაზე მუშაობს. სანდრა ელისაბედ რულოვსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანული ენების კათედრაზე ლექციათა კურსს კითხულობდა, კავკასიის ბიზნესსკოლის სტუდენტებს ფრანგულ ენას ასწავლიდა. მშობლიური ენის გარდა, სანდრა ელისაბედ რულოვსი ფლობს ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, რუსულს, ქართულს, სწავლობს მეგრულსა და პოლონურს. სანდრა ელისაბედ რულოვსი თავმჯდომარეობს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც საქართველოში შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებს ახორციელებს. ამავე დროს, ის აღმოსავლეთ ევროპაში გლობალური თანამშრომლობის „შევაჩეროთ ტუბერკულოზი“, ელჩია. სანდრა ელისაბედ რულოვსი თავმჯდომარეა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოსი, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებობს. მან თბილისში ექთნობის შემსწავლელი სამწლიანი კურსი წარჩინებით დაასრულა და დიპლომი მიიღო.

2004 წლიდან სანდრა ელისაბედ რულოვსმა თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელება დაიწყო, რის შედეგადაც, ჰოლანდიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოში 24-საათიანი კლასიკური მუსიკის პირველი რადიო სად-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

მოქალაქე - ხუფენია ვალერიანეს
პ/ნ - 01025011833

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 805160001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 805160001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 805160001-ა

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ "თეთრი ქარავანი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.10 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ "ქვევრი" 13.20 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 8 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი -ანდრია ბოჩელი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "მონანიება" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ფილატელისტის სიკვდილი" 02.10 ნიამორი

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

ხუთშაბათი 7 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ "მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით" (პ.რიშარი) 17.00 დ/ფ "თანამედროვე სნაიპერი" 18.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 19.05 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 22.20 "უცნობი მუსიკა" 00.20 მხ/ფ "300"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ვენა" 14.00, 16.00 ტ/სერ. "დეტექტივი". 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 10.05 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 11.25, 12.05 სერ. "ცივი გული" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ 16.03 სერ. "დაბრუნება" 17.50, 19.03 სერ. "უდანაშაულო" 20.50 სერ. "სილა" 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" (გ/ჩ) 01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 – დღიური 01.15 მხ/ფ "შავი ორქიდეა" (ს.იოჰანსონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ერთგულების ძალა" 11.00 სერ."ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "სიყვარული და შურისძიება" 17.00 სერ. "ნათია და ნათია" 18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო" 22.00 პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) 00.00 სერ. "ექიმი ჰაუსი". 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ "ფილატელისტის სიკვდილი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05,18.05, 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ლექსით ქებათა ქება 10.45 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. 11.20 ჩვენი ფონდი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "მონანიება" I ნაწ. 13.25 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 9 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი -ლილიკო ნემსაძე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "მონანიება" II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 "ზღვარზე" გად. IV 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ძმა" 02.10 ნიამორი

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.)

პარასკევი 8 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ "ის ჩემზე შარესია" (ა.ჩელენტანო) 17.00 დ/ფ "პლანეტა დედამიწის სიღრმეში" 18.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა"19.05 "შეხვედრები მცხეთაში" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 22.20 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.15 მხ/ფ "ჩვენ ერთი გუნდი დართ" (მ.მაკონახი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. "დეტექტივი". 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.35 ქრონიკა 10.05 სერ. "სიყვარული კონტრაქტით" 11.25, 12.05 სერ. "ცივი გული" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40 იმედის გმირები 15.15 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) 16.03 სერ. "დაბრუნება" 17.50, 19.03 სერ. "უდანაშაულო" 20.50 სერ. "სილა" 21.50 თოქ შოუ _ ღია ეთერი (პ/ე) 00.00 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" (გ/ჩ)01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 – დღიური 01.15 მხ/ფ "კლდე" (ნ.კეიჯი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ერთგულების ძალა" 11.00 სერ."ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "სიყვარული და შურისძიება" 17.00 კომედი შოუ. 18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ "ძმა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 11.00 "ზღვარზე" გად. IV 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "მონანიება" II ნაწ. 13.30 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 10 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი -ტრიო "თბილისი" 17.05 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 დოკ/ფ "ზურაბი" 19.35 მხ/ფ "დილის ნისლივით" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "კუკარაჩა"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

შაბათი 9 ნოემბერი

08.00 ან/ფ "ჭიანჭველების რისხვა" 10.00 "პეპე და მეგობრები" 11.00 საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: საქართველოს პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი 13.30 "საბავშვო ევროვიზიის დღიური" 14.00 მხ/ფ "ღამეები როდანტაში" (რ.გირი) 16.30 რაგბი. ამხანაგური შეხვედრა. საქართველო–კანადა. (პ/რ დინამო–არენადან) 18.30 "ეტალონი" 19.30 "გურმანია" 21.00 "სოციალური თოქ შოუ" (პ/ე) 22.20 "წითელი ზონა" 23.20 მხ/ფ "როცა აყვავდა ნუში" 00.50 მხ/ფ "მიჩივლე" (სტ.სანდრელი)

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა". 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 მხ/ფ "ყვირილი" 14.00 მხ/ფ "სამყარო მშვენიერია" 17.00 მხ/ფ "ვინეტუ II" 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 მხ/ფ "ოუშენის 11 მეგობარი" (ჯ.კლუნი) 22.00 ტ/სერ. "ნუ შეწყვეტ ოცნებას" 10 სერ. 23.00 მხ/ფ "V ნიშნავს ვენდეტას" (ნ.პორტმანი)

08.00 ან/ფ "ავატარი" 08.25 მხ/ფ "კაროლინა" 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" 13.00 მისია სტუდენტი 14.30 ახალი ქართული ხმა (29.10.13 გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. "უდანაშაულო" 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ."ჩვენი ამბავი" 23.00 კაცების შოუ 00.00 სერ."კამორას კლანი" 01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013– დღიური00.15 მხ/ფ "ილაის წიგნი" (გ.ოლდმენი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი. (გ/ჩ) 11.00 იღბლიანი ბორბალი. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. "ნათია და ნათია" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები". 23.00 რა? სად? როდის? 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "დილის ნისლივით" 13.15 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - ვაგნერი "ლოენგრინი" (მანანა პაიჭაძე) 18.10 საქართველოს ქალაქები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 დოკ/ფ "შიო მღვიმე" 22.40 ჩვენი ფონდი-წმინდა ნეოფიტე ურბნელი (მეუფე იობი) 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ "მუსიკის ჰანგები" I სერ.

მაესტრო 7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტრონი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "ასი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00 სერიალი "სკანდალი" 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

კვირა 10 ნოემბერი

08.00 ან/ფ "პატარა პოლარული დათვი" 10.00 "ეტალონი" 10.55 საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.30 ქართული მხ/ფ "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 16.30 დ/ფ "ფოტო" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 ფეხბურთი საქართველოს ჩემპიონატი: "ზესტაფონი" – "დინამო"/თბილისი/ (პ/ტრ) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ფ "ოუშენის 13 მეგობარი" (ჯ.კლუნი) 01.00 მხ/ფ "ბეწვი" (ნ.კიდმანი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "რიო დე ჟანეირო" 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 დ/ფ დ/ფ "ჰოლივუდი" 11.00 მხ/ფ "გაყინული" (ლუი დე ფიუნესი) 12.30 მხ/ფ "სამყარო მშვენიერია" 14.15 მხ/ფ "სამი მუშკეტერი I" 16.00 მხ/ფ "სამი მუშკეტერი II" 18.00მხ/ფ "ლუდის ფესტივალი" 19.45 მხ/ფ "ოუშენის 12 მეგობარი" (ბ.პიტი) 22.00 ტ/სერ. "ნუ შეწყვეტ ოცნებას" 11 სერ. 23.00 მხ/ფ "ჩვენი მამების დროშები".

08.00 ან/ფ "ავატარი". 08.25 მხ/ფ "ასტერიქსი და ობელიქსი ბრიტანეთში" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ."ჩვენი ამბავი" 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ "კეთილი ადამიანები" 17.40, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ."ჩვენი ამბავი" 01.00 ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013– დღიური 00.15 მხ/ფ "ბრინ ქარდი" (ე.მაკდაუელი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 09.00 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. "ნათია და ნათია" 21.00 P.S. 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები". 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი-წმინდა ნეოფიტე ურბნელი (მეუფე იობი) 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ბავშვი სასეირნოდ მიდის" 13.40 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.25 მხ/ფ "რობინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 21.35 დოკ/ფ "წმინდა მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი" 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "მუსიკის ჰანგები" II სერ.

მაესტრო 7.00, 23.35, 1.35, 4.05 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 "ფარული კამერა" 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 17.00, 18.00, 20.05 ახალი ამბები 8.05, 9.05 მულტფილმი "ტრონი" (გამ) 9.30, 10.05, 11.05, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.10, 19.00 სერიალი "ასი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.00 კვირის აზრები 20.50 სერიალი "დიდებული საუკუნე" 22.05 სერიალი "სკანდალი" 23.05 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება (გამ) 0.05, 2.05, 4.35 "კინო მაესტროზე"

ტერაქტი მახაჩყალაში

ჩრდილოეთ კავკასიაში ძალადობა არ წყდება

– 30 ოქტომბერს დაღესტნის დედაქალაქში ახალი ტერორისტული აქტი მოხდა. არის მსხვერპლი, – იტყობინება რადიო „თავისუფლება.“

თანახმად „რია-ნოვოსტის“ ინფორმაციისა, დაიღუპა ერთი, დაშავდა თხუთმეტი ადამიანი. აქედან სამი პოლიციელია. ასაფეთქებელი მოწყობილობა ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიასთან ამოქმედდა.

– ამ მაღაზიაში ალკოჰოლური სასმელები იყიდება, ამიტომ აქ მუდამ ხალხმრავლობაა, – განაცხადა თავის ტელეინტერვიუში რსფსრ-ს საგამოძიებო კომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილე რასულ ტემირბეკოვმა.

როგორც ექსპერტები, ისე რუსი ძალოვნები ამტკიცებენ, რომ ტერაქტი ისლამისტი ექსტრემისტების მიერაა ორგანიზებული. რასულ ტემირბეკოვმა თავის ინტერვიუში აღნიშნა:

– ხალხმრავალ ადგილას ტერაქტის მოწყობა ისლამისტების ხელწერაა!

ტემირბეკოვმა განაცხადა, რომ ამ ტერაქტის გახსნა ღირსების საქმეა. ძალოვნებმაც პირველ შედეგებს საკმაოდ სწრაფად მიაღწიეს და ტერაქტში მონაწილეობაში ორი ეჭვმიტანილი შეიპყრეს. ესენი მახაჩყალის მცხოვრებნი შაჰბონოვი და ალიევი აღმოჩნდნენ. პირველი 22 წლისაა, მეორე – 24-ის. თუმცა მათი ისლამისტებთან კავშირის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ორივე ადგილობრივი მაფიოზური დაჯგუფების წევრია. რატომ ჩაიდინეს ტერაქტი, ვინ იდგა მათ უკან – ეს კითხვები ჯერჯერობით პასუხგაუცემელია.

ტერორიზმი დაღესტანში საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ გააქტიურდა, თუმცა თავდაპირველად მისი მასშტაბები მცირე იყო და ვიწრო კლანურ ხასიათს ატარებდა. დაღესტნის ხელმძღვანელობა ხმამაღლა ტრაბახობდა, რსფსრ-ს ყველაზე სტაბილური რესპუბლიკა ვართ და ჩვენთან ყველა სოციალური პრობლემა მოგვარებულიაო. მაღე აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო. დაღესტანში კორუფცია ყვაოდა. მთელი სიმდიდრე მმართველი კლანის ხელში იყო. თუკი „ელიტას“ არ განეკუთვნებოდი, ვერც ბიზნესს დაიწყებდი, ვერც სამსახურს იშოვიდი. ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ ლე კარე ამის თაობაზე წერდა:

– მსურს, რუსეთის ხელისუფლებას ვურჩიო, ჩრდილოეთ კავკასიას მეტი ყურადღება მიაქციოს. პრობლემა მხოლოდ ჩეჩნეთი როდია. ჩრდილოეთ კავკასიაში კორუმპირებული ავტორიტარული რეჟიმები ბატონობს. შედეგად იქ გამეფებულია უკანონობა, უმუშევრობა, სიდუხჭირე. კავკასიელი მამაკაცი ამას არ შეურიგდება. რუსისაგან განსხვავებით, ის არაყს კი არ დაეწაფება, არამედ ავტომატს აიღებს ხელში, რასაც სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტები გამოიყენებენ.

ლე კარეს სტატია თავის დროზე გაზეთმა „იზვესტიამ“ გადაბეჭდა. მან რუსეთში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ქვეყნის პირველი პირები აღნიშნავდნენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ასეც მოხდა, თუმცა პროვოკაციები გაგრძელდა.

– ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბისტების გამოჩენა რუსული სპეცსამსახურების მიერ იყო ინსპირირებული, რათა იქაური ეროვნული მოძრაობა დაექსაქსათ და მისი დისკრედიტაცია მომხდარიყო. იგივე შეიძლება ითქვას ბასაევის ბუდიონოვსკზე ლაშქრობაზეც, – წერდა „შლიახ პერემოგი“.

ამის შემდეგ რუსულმა არმიამ გროზნო კიდევ ერთხელ დალაშქრა და დაღესტანში არსებულ „ვაჰაბისტურ ტერიტორიასაც“ ბოლო მოუღო. მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ექსტრემიზმის ქადაგებისათვის მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა, მაგრამ ამან შედეგი არ მოიტანა. ტერორიზმმა ახალი ძალით იფეთქა. რუსულმა ფსბ-მ ამას მხოლოდ პროვოკაციები დაუპირისპირა. მრავალეროვან დაღესტანში ეთნიკური შუღლი გაჩაღდა. ტერორიც კლანობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ვლადიმერ ჟირინოვსკიმ თავის ტელეინტერვიუში განაცხადა:

– დიდება ფსბს-ს! მან მიაღწია იმას, რომ დაღესტნელი ტერორისტები მთებში შერეკეს და ახლა ერთმანეთს ხოცავენ! ძალიან კარგი! დაე, ერთურთი გაჟუჟონ! სამაგიეროდ, ჩვენ უფრო მშვიდად დავიძინებთ!

„მშვიდად ძილი“ დიდხანს არ გაგრძელდა. ტერორისტებმა ოპერაციების ჩატარება მახაჩყალასა თუ სხვა ქალაქებშიც დაიწყეს. სპეცსამსახურების ყველა მცდელობა, ამას წინ აღდგომოდნენ, მარცხით დამთავრდა. გადიოდა დრო, მაგრამ ძალადობას ბოლო არ უჩანდა, პირიქით, მისი მასშტაბები იზრდებოდა. ახლა ტერორისტები უკვე რუსეთის ქალაქებს მიადგნენ. მათ იქარა მხოლოდ ფეხის მოკიდება შეძლეს, არამედ ზოგიერთი რუსის გადაბირებაც მოახერხეს. ამისი ნათელი მაგალითია ტერაქტი ვოლგოგრადში, რომელიც მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს განხორციელდა. ის დაღესტნელმა ქალბატონმა და მისმა რუსმა საყვარელმა დიმიტრი სოკოლოვმა მოაწყვეს. ქალის გავლენით სოკოლოვიც ვაჰაბისტური სექტის წევრი გახდა:

– სოკოლოვმა ბომბები თარიკაში აპარტეიდის დროს ხდებოდა.

ჟირინოვსკი გამონაკლისი როდი იყო. ასეთ „სიბრძნეს“ სხვა რუსი პოლიტიკოსებიც უხვად აფრქვევენ. სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან გაისმოდა მოწოდება „კავკასიის ამპუტაციისა“ და მასობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. რუსეთის პარლამენტმა პრობლემის გადაჭრის ქმედითი გზები ვერ დასახა. ქვეყანა მახაჩყალის ტერაქტმა შეაზანზარა.

– დაღესტანი რუსეთის ყველაზე ტერორისტულ რეგიონად გადაიქცა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

კორუფცია, უკანონობა, ტოტალური უმუშევრობა ბევრ მამაკაცს აიძულებს, ხელში ავტომატი აიღოს. მახაჩყალის ტერაქტმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ რაოდენ მწვავედ დგას ტერორიზმის პრობლემა დაღესტანში, ისევე, როგორც საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში. ძალადობა გრძელდება და არავინ იცის, როდის მოეღება ამას ბოლო.

ნიკა თევზაძე

ევროკავშირი უკრაინის მხარდაჭერას აპირებს

ევროკავშირი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ამ წელს რუსეთის მხრიდან შესაძლო ეკონომიკური ზეწოლის შემთხვევაში, ამ ქვეყნისათვის კრედიტის გაცემის შესაძლებლობას ეძებენ.

თურუსეთი მეზობელზე ეკონომიკურ ზეწოლას გააძლიერებს, ევროკავშირი გეგმავს უკრაინას ბუნებრივი გაზი მიაწოდოს და ფინანსური დახმარება გამოუყოს.

ევროპელი პოლიტიკოსების თქმით, ფინანსური დახმარება 10-15 მილიარდ დოლარს შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოტენციური კრედიტის გარდა, ევროკავშირს 610 მილიონი ევრო აქვს მომზადებული, რომელსაც უკრაინას, ფონდთან შეთანხმების შემთხვევაში, ასესხებენ.



„ტსნ“-ის ინფორმაციით კი, ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა პეტ კოკსმა და ალექსანდრ კვასნევსკიმ შეარჩიეს კანონპროექტი, რომელიც უკრაინის ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს გათავისუფლებას და უცხოეთში მკურნალობას შესაძლებელს გახდის. უკრინასა და ევროკავშირს შორის კომპრომისულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ანჟელიკა ლაბუნსკის კანონმდებლობა უნდა დაედოს.

„ჩემს პროექტს გარკვეული ნაკლოვანებები აქვს, თუმცა ვფიქრობ რომ მისი გამოსწორება მეორე მოსმენით არის შესაძლებელი. თუ უმაღლეს რადაში კომპომისის მოძებნის სურვილი იქნება, იმედი მაქვს რომ ჩემს დოკუმენტს მიიღებენ“, – აღნიშნა ლაბუნსკიმ.

თავად ევროკავშირის წარმომდგენლებს ლაბუნსკი კანონპროექტი საუკეთესო პროექტად მიაჩნიათ. ამ პროექტის მიხედვით, საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა სამ გასამართლებულს შეეძლება, რომლებმაც სტაციონარში სულ მცირე 365 დღე გაატარეს, თუმცა ისინი მაინც ვერ გამოჯანმრთელდნენ. თუმცა, დოკუმენტში საუბარი არ არის უნდა მოეხსნათ თუ არა მსჯავრდებულებს სასჯელი.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა პარლამენტს ტიმოშენკოს საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ კანონისათვის ხმის მიცემა სთხოვა. პრეზიდენტის თქმით, მზად არის კანონს ხელი მოაწეროს. ტიმოშენკოს პატიმრობამ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება შესაძლოა 1 წლით გადაწიოს. განცხადება ამის, თაობაზე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რიადოსლავ სიკორსკიმ გააკეთა. მისი თქმით, ექს-პრემიერის საქმე არ უნდა გაიწელოს ვილნიუსის სამიტამდე.

გ. ჰ.

ნატო რუსეთის საზღვრებთან წვრთნებს იწყებს

ამ უქმეებზე ნატო ლატვიასა და პოლონეთში მასშტაბურ წვრთნებს იწყებს. ღონისძიებაში, რომელიც 2 ნოემბერს დაიწყება და 7 ნოემბრამდე გაგრძელდება, 7000 ჯარისკაცზე მეტი მიიღებს მონაწილეობას.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან ეს პირველი წვრთნებია, რომელიც ჩვენ საკუთარი „ტერიტორიის დასაცავად ჩაგვიტარდება“, – განუცხადა ლატვიის თავდაცვის მინისტრმა არტის პაბრიკისმა „როიტერს“.

წვრთნებზე დასასწრებად რუს დამკვირვებლებსაც მიიწვევენ. ტრადიციულად, მსგავს წვრთნებში რუსეთი გარკვეულ საფრთხეს ხედავს ხოლმე. ნატომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წვრთნებს რუსეთთან კავშირი არ აქვს, თუმცა ზოგიერთი ოფიციალური პირი აცხადებს, რომ მათი აზრით, ეს წვრთნები მათი აღმოსავლეთ პარტნიორების დარწმუნება-დამშვიდებას ისახავს მიზნად, იმ ფონზე, როდესაც რუსეთი სხვადასხვა საომარ ხომალდებს აგებს და უფრო მასშტაბურ წვრთნებსაც ატარებს.

ნატოს წვრთნებთან დაკავშირებით კომენტარის მისაღებად „ობსერვერმა“ რუსეთის თავდაცვის მინისტრთან დაკავშირება ვერ შეძლო. თუმცა, ცოტა ხნის წინ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანატოლი ანტონოვმა აღნიშნულ წვრთნებს „ცივი ომის სულისკვეთების“ წვრთნები უწოდა. ონლაინ გაზეთის შეკითხვაზე ნატოს წვრთნები ვილნიუსის სამიტის წინ ატმოსფეროს კიდევ ხომ არ გააურესებს, ნატოს მაღალჩინოსანმა უპასუხა: „ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. ნატოს წვრთნების ადგილი და დრო დიდი ხნით ადრე იყო განსაზღვრული და ამის შესახებ ჩვენმა რუსმა პარტნიორებმაც იცოდნენ“.

გ. ჰ.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე თამაზ კუჭავა, შვილი ნინო კუჭავა, სიძე დათო ჭიჭინაძე, შვილიშვილები თამაზ იორაშვილი, ბარბარე ჭიჭინაძე, ძმა ვაჟა რუსიშვილი, რძალი ლელა აბაშიძე, მძახლები ლევან და ნათელა ჭიჭინაძეები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა რუსიშვილი-კუჭავა

პანაშვიდი: 3, 4 ნოემბერს, 16 საათზე, თბილისი, ატენის 18ა, II სადარბაზო, VII სართული.

გამოსვენება: 5 ნოემბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. ბრიტანული ტაქსი; 2. მარადმწვანე მცენარე; 3. სპორტული სასეირნო ნავი; 4. ცხენის ერთგვარი სვლა; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 6. ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 8. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. ჩეხური ლუდი; 11. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 15. აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

თარაზულად: 1. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. მოწინააღმდეგის დაშინების ხერხი პოკერში; 9. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. დროებით სხვასთან შეკედლებული პირი; 13. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 14. დიდი სარეკლამო სტენდი; 17. პატარა, ერთბინიანი, მანსარდიანი სახლი; 18. რუსეთში მოღვაწე ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი; 19. იუმორისტული ფესტივალის ქალაქი ბულგარეთში; 20. წყალგარეული ღვინო.

შეადგინა თ.ჭოგოინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „მომა“; 2. ოდიში; 3. სპოკი; 5. „როგანი“; 6. ლოგოპედი; 9. კომპრომისი; 10. „კოპიტნარი“; 11. დეკემბერი; 14. ილი; 16. ქულამა; 18. ჭაჭა.

თარაზულად: 1. მუჯირი; 4. ზარზუელა; 7. აიდახო; 8. კოსტავა; 12. იმაგო; 13. მიზერი; 15. სიურტე; 17. „ძმა“; 19. სტენოკარდია; 20. კილტი; 21. საფარა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაკი; 2. ჯეზვე; 3. იმაგო; 4. ლხინი; 5. გილდია; 6. დინამიკა; 8. „ფიორენტინა“; 10. ფიზიონომია; 11. ნატახტარი; 14. ბუნაგი; 15. ოკრიბა; 16. „ბროლა“.

თარაზულად: 1. „ბორჯომი“; 4. ლოგოპედი; 7. კიაზო; 9. ტორფი; 12. მანათი; 13. ტონგა; 14. ბაჩანა; 17. სტრიტი; 18. ჰემოგლობინი; 19. შაოლინი; 20. საფარა.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ნოემბერი

აშშ დოლარი — 1,6707

ევრო — 2,2985

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6835

100 რუსული რუბლი — 5,211

ამინდის პროგნოზი 2 ნოემბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვაგენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.

რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...



უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... **მგლის ბილიკი**

ტომი 2 ..... **შავი ვარდი**

რუსეთი სირიაში ქიმიური იარაღის განადგურებლად 2 მილიონ დოლარს გამოყოფს

სირიაში ქიმიური იარაღის განადგურებლად რუსეთი 2 მილიონამდე დოლარს გამოყოფს. ამის შესახებ „კომერსანტი“ წერს. მოსკოვი სირიაში გაგზავნის რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოების სამხედროების, რომლებიც სხვა ქვეყნების სამხედროებთან ერთად მიიღებენ ქიმიური იარაღის განადგურებაში მონაწილეობას.

გუშინ ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამ განაცხადა, რომ სირიის ხელისუფლებამ ქიმიური იარაღის წარმოების მოწყობილობის სრული ლიკვიდაცია განახორციელა. ანგარიშის მიხედვით, რომელიც „როიტერის“ ხელში მოხვდა ინსპექტორებმა სირიაში 23 დან 21 ობიექტი მოინახულეს და დარწმუნდნენ იმაში, რომ ქარხნები, რომლებშიც ნაღმებისა და მომწამვლავი ნივთიერებების წარმოება ხდებოდა ან დანგრეულია ან მუშაობისათვის უვარგისი.

„დარჩენილი ორი ობიექტი კი ძალიან საშიშია იმისთვისაც კი, რომ იქ ინსპექცია ჩაატარო“, – ნათქვამია ანგარიშში და იქვე აღნიშნულია, რომ მიუხედავად ამისა, ინსპექტორებმა სპეციალური მოწყობილობები იქ უკვე გადაიტანეს.

უკვე წარმოებული ქიმიური იარაღის მარაგი ჯერაც გასანადგურებელია და ეს სამუსაო 2014 წლის შუახანს უნდა დასრულდეს.

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი

2 ნოემბერი – ნახმატებული დღეა

ვერძი – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** – დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ყველაფერი კარგად იქნება. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** – წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა კარგია, გამოგადგებათ. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრის შემდეგ კარგ ხასიათზე დადგებით. **მერწყული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

3 ნოემბერი – ეს დღე მშვიდად ჩაივლის

ვერძი – მშვენიერი დღეა, გახარებული ხართ. **კურო** – ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. **კირჩხიბი** – თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ! **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – სახლში სასიამოვნო შეხვედრა გელით, დიდი ხნის უნახავი ადამიანი გეწვევათ. **სასწორი** – თავს კარგად გრძნობთ, ყურადღების ცენტრში ხართ. **ღრიანკალი** – წარმატებული დღეა, ყველაფერი კარგად მიდის. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, დასვენება გჭირდებათ. **მერწყული** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **თევზები** – არ აჩქარდეთ, მაინც ყველაფერს მოასწრებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

აკადემიელთა ახალგაზრდული სამეული

საკალათბურთო სუპერლიგის ვებგვერდი ყოველთვის ცდილობს კალათბურთელები ახლოს გააცნოს გულშემატკივრებს. ამჯერად გაიგებთ, თუ როგორები არიან „შსს აკადემიის“ კალათბურთელები – ბექა ჩიკვილაძე, მერაბ ბოქოლიშვილი და რევაზ როგავა.

– როგორ შეაფასებდით სუპერლიგის ახალ სეზონს? რა მოლოდინები გაქვთ პირველი ორი ტურის შემდეგ?

რევაზ როგავა: სეზონი საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო, ჩემპიონატი გაახალგაზრდავდა და გუნდების უმრავლესობა თანაბარი ძალისაა. რაც შეგვეხება ჩვენ, ახალგაზრდული გუნდი ვართ და დღითიდღე განვიცდით პროგრესს. შესაბამისად, მეტოქეებს ღირსეული წინააღმდეგობის გაწევას ვპირდებით.

მერაბ ბოქოლიშვილი: წინა წლის სეზონთან შედარებით დაბალანსებული ჩემპიონატია, წინასწარ ვერ იტყვი, ვინ არის ფავორიტი, შარშან უფრო გამოკვეთილები იყვნენ ლიდერები. წელს აქცენტი ქართველ მთავარმაშეებზე კეთდება, რადგან ნაკლები ლეგიონერი ასპარეზობს. ჩემპიონატის დონეზე ვერ გეტყვით, თუმცა ეს კალათბურთის მომავლისთვის და ახალგაზრდა მთავარმაშეებისთვის ნამდვილად კარგი იქნება.

ბექა ჩიკვილაძე: ვეთანხმები ბიჭებს, რომ წელს დაბალანსებული ჩემპიონატია და გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობს. ყველასთან შეიძლება გამარჯვება. გვავარჯიშებს უცხოელი მწვრთნელი, რომლის სტილიც ძალიან მომწონს. ამ გუნდით, იმედია, ლეგიონერების გარეშეც მივაღწევთ წარმატებას. რაც შეხება ჩემს შსს-ში გადმოსვლას, საქართველოში 4 გუნდში მაინც მაქვს ნათამაშები (სტუ, თსსუ, დინამო, თსუ), მაგრამ არასდროს მყოლია უცხოელი მწვრთნელი. მინდოდა გამეუმჯობესებინა ჩემი თამაში. ვფიქრობ, დღეს უცხოელმა ტრენერმა მეტი იცის, ვიდრე ქართველმა და პროფესიული წინსვლისთვის მასთან მუშაობა ძალიან გამომადგება. სწორედ ეს იყო ჩემი შსს აკადემიაში გადმოსვლის მიზეზი. თანაც, ახალგაზრდული გუნდია, შეიძლება სხვა მთავარმაშეებიც დავიმატოთ და შემდეგ სერიოზული ამბიციებიც გვექნება.

– წლევანდელ სეზონში შსს აკადემია ჯერჯერობით ლეგიონერების გარეშე ასპარეზობს. რა აზრის ხართ ამაზე?

მერაბ ბოქოლიშვილი: ჩემპიონატის დონე, სავარაუდოდ, დაიწევს, მაყურებლისთვის შეიძლება ნაკლებად სანახაობრივი იყოს, მაგრამ ჩვენ სამისთვის არ არის ცუდი, პირიქით, პროგრესის თვალსაზრისით ეს აუცილებლად დაგვეხმარება.

რევაზ როგავა: დონე, ბუნებრივია, დაიწევს. შარშან ისეთი გამოცდილი მთავარმაშეები გვყავდნენ, რომლებიც დღეს უცხოეთში სხვადასხვა ძლიერ ლიგაში ასპარეზობენ. მათთან თამაშის გამოცდილება ძალიან დაგვეხმარა. წელს ვეცდებით ბევრად კარგი თამაში ვაჩვენოთ და ჩემპიონატის დონეც ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

ბექა ჩიკვილაძე: ჩემი აზრით, რაც უფრო მეტი ლეგიონერი გვყოლება, უკეთესი იქნება ჩვენთვის. ესპანეთში ნათამაშები მაქვს, მსოფლიოში უძლიერესი კალათბურთელები ჰყავთ, მაგრამ ჩემპიონატის კლუბებში მინიმუმ 4 უცხოელი მაინც თამაშობს. აუცილებელია გვყავდეს ლეგიონერები, რადგან მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. თამაშის დროს უცხოელს რომ იჭერ, სულ სხვანაირი „ჟილკით“ ასპარეზობ. კარგი იქნება, თუ მთავრობა დაფინანსებას მოუმატებს გუნდებს და დაეხმარება ქართულ კალათბურთს, რათა კლუბები გაძლიერდნენ და შეძლონ მეტი უცხოელის ჩამოყვანა. ამით ახალგაზრდა მთავარმაშეები ძალიან მნიშვნელოვან გამოცდილებას მივიღებთ.

– შარშან ჩემპიონები გახდით, რა მიზნები და ამბიციები აქვს ამ სეზონში შსს აკადემიას?

რევაზ როგავა: როგორც მწვრთნელი ამბობს, ჩვენი გუნდის კონკრეტული მიზანი ჯერჯერობით არ ჩანს. დღითიდღე ვაუმჯობესებთ თამაშის ხარისხს და თითოეულ მატჩზე მოსაგებად გავდივართ. ჩვენი მიზანი ყველა შეხვედრის მოგება და კარგი თამაშის ჩვენება იქნება. ამისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ.

მერაბ ბოქოლიშვილი: კონკრეტულ მიზნად არ გვაქვს დასახული, რომ აუცილებლად ფინალში უნდა ვითამაშოთ, თუმცა ყველა თამაშზე მოსაგებად ვიბრძვით. არც იმის გვეშინია, რომ ვინმე ჩვენზე ძლიერია და შეიძლება რომელიმე გუნდმა დაგვჩაგროს. ყველას გაუჭირდება ჩვენთან თამაში. ჯერ არ ვიცით, რას გადაწყვეტს ხელმძღვანელობა და ვინ დაგვემატება იანვრიდან, მაგრამ გულშემატკივარს ვპირდებით, რომ ეს გუნდი ყველა თამაშზე ბოლომდე დაიხარჯება.

ბექა ჩიკვილაძე: პირველ ტურში „მაქაბისთან“ მხოლოდ 5 ქულა მოვიგეთ, არადა, თურქეთში ისეთ ძლიერ გუნდებთან, რომლებიც „გალათასარაის“ უგებენ, მხოლოდ 9 ქულა წავაგეთ. ბიჭებს დავეთანხმები, რომ ყველასთან მოგება შეგვიძლია. ისეთი გუნდი ვართ, წინასწარ ვერ იტყვი, რას ვიზავთ. გააჩნია, როგორი დღე გვექნება, რადგან ყველა კალათბურთელს აქვს ცუდი და კარგი დღეები. ყველაფერთან ერთად, იღბალი და გამართლებაც საჭიროა.

– სამივე იყავით ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატები და ნაკრებთან ერთად იმყოფებოდით შეკრებებზე. რა გამოცდილება მიიღეთ და რა ისწავლეთ ამ პერიოდში?

ბექა ჩიკვილაძე: ნაკრებში ყოფნა ყველა კალათბურთელისთვის უდიდესი სტიმულია. ამან ბევრი რამ შეგვმატა და არ აქვს მნიშვნელობა, 12 კაცში იქნები თუ 16-ში.

რევაზ როგავა: ბევრი რამ შევიძინე გამოცდილ მოთამაშეებთან ვარჯიშით და მწვრთნელებთან მუშაობით. ნაკრები ჩვენთვის მართლაც დიდი სტიმულია. პირადად მე, ხშირად მქონდა გიორგი ცინცაძესთან პირადი საუბრები, ის საჭირო რჩევებს მაძლევდა და მეხმარებოდა თამაშის გაუმჯობესებაში. ეს ყველაფერი დიდად დამეხმარა, რომ ამ სეზონს უფრო მომზადებული შევხვედროდი.

მერაბ ბოქოლიშვილი: როცა ნაკრებთან ერთად ვარჯიშობ, ხედავ, თურა განსხვავებაა შენსა და ნაკრების გამოცდილ მოთამაშეებს შორის და ხვდები, რამხელა სამუშაო გაქვს კიდევ წინ. ეს სტიმულიცაა და მოტივაციაც.

– მოგვიყევით თქვენ შესახებ, როდის და რატომ დაიწყეთ კალათბურთის თამაში?

ბექა ჩიკვილაძე: კალათბურთის თამაში 11 წლიდან დავიწყე ნუგზარ მარკოშვილთან, მასთან გავიზარდე 16-წლამდელთა ნაკრებში მოხვედრამდე. კალათბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია, მის გარეშე ყოფნა ვერ წარმოვიდგენია. სპორტი არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩემი ოჯახისთვისაც ყველაფერია და ვეცდები, ოჯახი გავახარო წარმატებული თამაშით.

მერაბ ბოქოლიშვილი: 6 წლის ვიყავი, როცა კალათბურთის თამაში დავიწყე აკადემიაში, 11 წელი გელა წულაძესთან ვიყავი, კალათბურთის თამაში სწორედ მან მასწავლა. რაც თავი მახსოვს, სულ კალათბურთს ვთამაშობ, ჩემს ცხოვრებაში არ მახსენდება არც ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი კალათბურთის გარეშე. პროფესიულ დონეზე რომ არ მეთამაშა, სპორტის ეს სახეობა ჩემი ჰობი მაინც იქნებოდა. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ კალათბურთით სიამოვნებას ვიღებ და თან ეს არის ჩემი სამუშაო, რომელიც ძალიან მიყვარს.

რევაზ როგავა: მე საკმაოდ გვიან დავიწყე თამაში. 13 წლის ვიყავი, როცა დიდუბის სკოლაში ვაჟა ჭკუასელთან დავიწყე ვარჯიში. თუმცა კალათბურთით მანამდეც დაინტერესებული ვიყავი. ზოგადად, სპორტის ბევრი სახეობის მოყვარული ვარ. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კალათბურთთან არის დაკავშირებული. ძალიან დიდი დაფასებაა, როცა ის, რაც გიყვარს, არის შენი სამუშაო და შემოსავლის წყარო.

– რომელი იყო თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და ემოციური გამარჯვება?

მერაბ ბოქოლიშვილი: მე და ბექა ევროპის 20-წლამდელთა დივიზიონის ჩემპიონები გავხდით, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და ემოციური ჩვენთვის. საქართველოში ძალიან ცოტას აქვს იმის პრივილეგია, რომ რომელიმე ასაკში ევროპის ჩემპიონი იყოს, არა აქვს მნიშვნელობა, ა დივიზიონი თუ – ბ. ჩემთვის ყველაზე გამორჩეული სწორედ ევროპის ჩემპიონობა იყო.

რევაზ როგავა: 2 წლის წინ, 20-წლამდელთა ჩემპიონატის მოგება ძალიან ემოციურად მახსენდება. შარშან კი საუკეთესო ახალგაზრდა მთავარმაშედ დასახელება ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო.

ბექა ჩიკვილაძე: შარშან „არმიის“ პლეიოფის ერთ-ერთ მატჩში დამარცხება ძალიან ემოციურად მახსენდება.

– რა არის სპორტსმენის კარიერაში ყველაზე დიდი სირთულე?

ბექა ჩიკვილაძე: ფსიქოლოგიური მომენტია – კალათბურთელი და, ზოგადად, სპორტსმენი სულით ლიდერი უნდა იყო, სხვაგვარად წარმატების მიღწევა ძალიან რთულია. ხანდახან ხდება ხოლმე, რომ მაქსიმუმს ვერ ვაკეთებთ, ამიტომ სულიერი სიმტკიცეც აუცილებელია, ფსიქოლოგიურად მყარი უნდა იყო, რომ რთული მომენტების გადალახვა შეძლო.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. ბაქტერიების დამშლელი, მშთანთქავი ვირუსი; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. სახელმწიფო აზიაში; 5. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 6. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. გერმანული ყველი; 11. ინგლისელი კომიკოსი; 14. თევზის ძვალი; 16. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი; 18. ერთ-ერთი კონტინენტი.

თარაზულად: 1. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 4. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად; 7. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 8. თეთრი მელას ძველი სახელწოდება; 12. ბელინის ოპერა; 13. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 15. სევანის ტბის კალმახი; 17. ბაშკირეთის დედაქალაქი; 19. დიდი ზომის გადაშენებული ქვეწარმავალი; 20. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 21. იაპონური მოტოციკლეტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა